# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 232 (5833)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# ეს არის 3500 კაცი?!

25 ნოემბერს რიყეზე მრავალათასიანი მანიფესტაცია გაიმართა. მშვიდობიანი აქციის უმთავრესი მოთხოვნა ტელეკომპანია „იმედის“ აღდგენა იყო! აქცია პარლამენტის შენობის წინ უექსცესოდ დასრულდა.









ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი რიყიდან

იხილეთ 16



10

ლეონიდ პარფიონოვი -

## მუქარით კი იმუქრებიან, მაგრამ სინამდვილეში რა იქნება, არავინ იცის...

## ბატრაში 2007

გიორგობისთვე

კეთდებაო, კეთდება კი. მაგასაც ვხედავთ, კეთდება საცივი, გოზინაყი, სარეკორდოდ, გინესების წიგნში შესატანად. კეთდება გზებიც, ფანტანები (არა შადრევნებიძ, ეშმაკის ბორბლები, პატრული, ჯარი, სხვაც... ის მიკვირს, რაც არის და არა ის, რაც არ არის – კეთდება ის, რის გაკეთებაც შეიძლება და ინგრევა ის, რისი დანგრევაც არაფრით არ შეიძლება. ინგრევა საქართველო, ქართული სული, ქართული გენი, ჯიში, ჯილაგი, ტრადიცია და ოჯახი, საფუძველთა საფუძველი ჩვენი არსობისა!

6



# ამხანაგები

# ადრეული დრო

**მე არ ვარ ედუარდ შევარდნაძე, ვისთვისაც მთავარი იყო, რას იტყოდნენ ჯეიმს ბეიკერი და გენშერი. ჩემთვის მთავარია, საქართველოს გადარჩენა და არა ის, ვინ რას იტყვის. თქვენ ნახეთ, რომ მნიშვნელოვანი ქვეყნის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ და საუკუნის პროექტს მოვაწერეთ ხელი**



№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

## სიტყვა — ბანზე?

# „მე ძალიან სარისკოდ არჩევნების თემა

მკითხველის თხოვნით

**ინგა გრიგოლიას ინტერვიუ**

**ინგა გრიგოლია: მე მაინტერესებს, რას იტყვის ქვეყნის პრეზიდენტი ყველაზე მთავარ თემაზე, რომელიც აწუხებს ხალხს და იმ შეკითხვებზე, რომელიც გაისმის ხალხის მხრიდან. მე წაგიკითხავთ ამონარიდს „ფაინენშელ თაიმსიდან“: „მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეებს სააკაშვილის მიმართ ხელი მოხვდა, მისი იმიჯი საზღვარგარეთ შეილახა“. ამ თემაზე ჩვენ ბევრი უნდა ვისაუბროთ, წინ არის საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა ვფიქრობთ, რომ წარმატებებზე მეტად, ჯობია, იმ პრობლემებზე ვესაუბროთ, რომელიც ხალხში არსებობს და რომლის პასუხსაც ისინი მოითხოვენ. იყო ასეთი დღე 7 ნოემბერი ჩვენს ცხოვრებაში, მე და ჩემი კოლეგები ძალიან ძნელად წარმოვიდგენდით, რომ ასეთი დღე გათენდებოდა, „სპეცნაზელები“ შემოვარდებოდნენ ტელეკომპანიაში, ჩემს კოლეგებს ძირს დააგდებდნენ და ნიღბიანი ადამიანები თავზე დაადგებოდნენ იარაღით... ჩვენ ზევით დაგვკეტეს კედლებთან, წაგვართვეს ტელეფონები, განძარცვეს, გარეთ გამოგვიყვანეს და დაგვატოვებინეს ტელეკომპანიის ტერიტორია, ხოლო გარეთ ჩვენზე განხორციელდა შტურმი. მე მინდა თქვენ ეს იცოდეთ უფრო დეტალურად, ვიდრე იცით, ჩვენ გავრბოდით, უკან მოგვსდევდნენ სპეცრაზმელები, გვესროდნენ რეზინის ტყვიებს, ისროდნენ გაზის ტყვიებს, ჩვენ გავრბოდით ზოგი ტყეში, ზოგი ორმოში ჩავარდა, ჩემს პატარა კოლეგას გაუტეხეს თავი და ეს ყველაფერი გადაგვხდა ჩვენ. რატომ?!**

**მიხეილ სააკაშვილი:** პირველ რიგში, მე მართლაც მიხარია, რომ თქვენ ჩემთან შესახვედრად გამონახეთ დრო და დიდი სიამოვნებით ვსაუბრობთ. მე არ ვილებ იმ შენიშვნას, რომ მხოლოდ წარმატებაზე ვლაპარაკობ, მე ყველაზე მეტად ვლაპარაკობ პრობლემებზე, პრობლემების დაძლევაზე და როცა დავძლევთ, მხოლოდ ამის შემდეგ ვამბობ, რომ ეს პრობლემა დაძლეულია, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ, რომ ჩვენ მუდმივად თავს ვიწონებდით წარსული წარმატებით. მე ყოველთვის ორიენტირებული ვარ მომავალი გამარჯვებით. ჩვენი განვლილი გზა 10% არის ის, რასაც საქართველომ კიდევ უნდა მიაღწიოს. მეორე საკითხია, რაც ეხება ტელეკომპანიას და იმ დღეს განვითარებულ მოვლენებს. ჯერ ერთი, მინდა მოგახსენოთ, რომ მართლაც ძალიან ვწუხვარ, თუ რომელიმე პოლიციის წარმომადგენელმა უკიდურესად დაძაბულ, საპასუხისმგებლო და საშიშ სიტუაციაში, თუ დადასტურდა, რომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, რა თქმა უნდა, შესაბამისი რეაქცია იქნება საქართველოს მთავრობის მხრიდან, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რა უძღოდა ამ ყველაფერს წინ და რა სიტუაციაში ხდებოდა 7 ნოემბერი და რა მდგომარეობა იყო საქართველოში. საქართველო აღმოჩნდა 1991 წლის რეალურად დაბრუნების წინაშე. მშვიდობიანი მანიფესტაციები არ არის პრობლემა, 2 ნოემბერს მოვიდა მართლაც ბევრი ხალხი. ხალხს პრობლემა აქვს და ეს ვიცით. დღეს სამეზობლოში მქონდა შეხვედრა, ქალმა ჯერ ლექსი მომიძღვნა და მერე მითხრა, მე ვიყავი 2 ნოემბრის აქციაზე, რადგან მე მაქვს ძალიან დიდი გაჭირვებაო. მე ამ ქალს დიდ პატივს ვცემ, ისევე როგორც პატივს ვცემ იმ ათასობით ადამიანს, რომელსაც აქვს პრობლემა, აქვს კონკრეტული საკითხი გადასაჭრელი და მოგვადგა მთავრობას. პრობლემა წარმოიშვა მაშინ, როდესაც რამდენიმედღიანი წაქეზების, მოწოდების და კარგი ორგანიზების შედეგად მოხდა ძალადობრივი ქმედებები, მოხდა პოლიციელზე ხელის შეხება, მთელს მსოფლიოში პოლიცია პასუხობს ასევე კანონიერი ძალის გამოყენებით, მოხდა მასობრივი ისტერიის გამოწვევა, მოხდა პირდაპირი მოწოდება ბადრი პატარკაციშვილის მხრიდან ხელისუფლების დამხობისკენ. ჩვენი მთავარი სიწმინდე, სამების ტაძარი, აღმოჩნდა საფრთხის წინაშე, რომ გამხდარიყო პატარკაციშვილის ბინძური თამაშების მძევალი. როდესაც გამოვიდა ტელევიზიით მოწოდება, — ხალხო, გვიშველეთ, სამების ტაძარზე მიდის შემოტევა და ქვეყანაში, სადაც ასეთ გრძნობებს იწვევს მართლმადიდებლობა, სადაც საუბარია უმთავრეს სიწმინდეებზე, ძალიან კარგად იცის იმ ხალხმა, ვინც ამის გამოწვევა სცადა, რას ნიშნავდა ის, რომ სამების ტაძარზე შემოტევაა, ძალიან კარგად იცის იმ ხალხმა, რას ნიშნავს ხელჩართული ბრძოლა საზოგადოების წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის, ამ სიტუაციაში მთავრობამ ძალიან კარგად იცის, რის წინაშე იდგა ქვეყანა. ჩვენ ხომ გვინახავს ეს? თქვენ ხომ ჩემზე ახალგაზრდა ხართ და თქვენ ხომ გახსოვთ ეს? ბადრი პატარკაციშვილის მხრიდან მოხდა პირდაპირი მოწოდება ამ ხელისუფლების დამხობისკენ, დადგეს კარვები და მე ვამბობ, ჩემი პრეზიდენტობის განმავლობაში და იმედი მაქვს, კიდევ ვიქნები პრეზიდენტი, არ დავუშვებ იმას, რომ გაიშალოს კარვები, მერე მოხდეს იქ იარაღის შეტანა, კონტრმიტინგები. მე ძალიან მწარედ მახსოვს 1991 წელი, ძალიან კარგად მახსოვს გადაკეტილი რუსთაველის გამზირი, ერთ მხარეს ერთი ავტობუსი და მიტინგი, მეორე მხარეს მეორე ავტობუსი და კონტრმიტინგი და მე არ დავუშვებ, რომ საქართველოში განმეორდეს 1991 წელი, განმეორდეს სამოქალაქო დაპირისპირება, როდესმე განმეორდეს ძალადობა, ტყვიების ზუზუნი, უშუქობა; ის, რომ ბავშვები არ დადიოდნენ სკოლაში. ეს ხომ რეალობა იყო?

**ინგა გრიგოლია: შეგახსენებთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს 21 დღე თქვენ იქ ატარებდით მიტინგებს, თქვენს გვერდით იდგა უამრავი ადამიანი, მაშინდელ პრეზიდენტს რომ დაერბია თქვენი მიტინგი, როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია?**

**მიხეილ სააკაშვილი:** არც ერთ დღეს „ვარდების რევოლუციის“ დროს არ ყოფილა ანტიკონსტიტუციური მოწოდება, ჩვენ ბოლომდე ვითხოვდით ერთ რამეს, ჩვენ გვინდოდა თავისუფალი არჩევნები, თვეების განმავლობაში დავდიოდით რეგიონებში, ვხვდებოდით ხალხს ყოველგვარი ტელეკამერების გარეშე, მე თვითონ ჩავატარე 400 შეხვედრა მაშინ, ვართმევდით ხალხს ხელს და ვაცნობდით ჩვენს პროგრამებს და ვეუბნებოდით, მოეცათ ხმა. შემდეგ ეს ხალხი 2 ნოებრის არჩევნებზე მოვიდა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა. შემდეგ დაიწყეს ამ გამარჯვების მოპარვა. ერთი რამაა, როდესაც ერთი წლის წინათ მთავრობას მოგებული აქვს კანონიერი არჩევნები და ერთი წლის თავზე მას უპირებენ დამხობას, მიუხედავად ამისა, მე არ გამომიყვანია ასლანივით კონტრმომიტინგეები.

**ინგა გრიგოლია: თუმცა ზაზა ბეგაშვილს ჰქონდა კონტრმიტინგის მცდელობა....**

**მიხეილ სააკაშვილი:** ჩემი დავალებით ნინო ბურჯანაძე გავიდა და ჩვენ მომხრეებს, რომლებიც იყვნენ ათასობით, უთხრა, რომ ახლა არ არის კონტრმიტინგების დრო. 2003 წელს შევარდნაძემ წაგვართვა მთავარი რამ — არჩევანის უფლება. დღეს მე ჩემს ხალხს მივეცი არჩევანის უფლება. ჩვენ პარლამენტში შევედით არჩევნების შედეგად, ძალადობის გარეშე შევედით, ერთი ფანჯარა არ ჩამსხვრეულა, ჩვენ შევარდნაძის გადადგომას ბოლომდე არ ვითხოვდით, არ ვითხოვდით მანამ, სანამ მან უარი არ გვითხრა იმ ჩვენს პირველ ადგილზე, რომელიც კანონიერად გვქონდა მიღებული. ახლა კი ხალხი მოვიდა თავისი გაჭირვებიდან გამომდინარე, იქ იყო დედის გინებებიც, მაგრამ ეს პრობლემა არ არის, ხალხმა თვითონ განსაზღვროს მათი პოლიტიკური კულტურა. მაგრამ მეორე დღეს დაიწყო პრეზიდენტის გადადგომის ლოზუნგები. ჩვენ იქ არ მიგვიყვანია თავიდან „სპეცნაზელები“, როცა წესრიგის დასამყარებლად მივიდნენ, იმ პოლიციელებს, რომლებითაც მე ვამაყობ, უწოდეს მათხოვრები. არ არიან ისინი ის ლიპიანი პოლიციელები, რომლებიც ადრე იყვნენ. მათ აქვთ თავიანთი ღირსება. თქვენ ამონარიდი წამიკითხეთ გაზეთიდან, თითქოს, ჩემი იმიჯი შეილახა. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორც ხდება ეს ყველაფერი, მე არ ვარ ედუარდ შევარდნაძე, ვისთვისაც მთავარი იყო, რას იტყოდნენ ჯეიმს ბეიკერი და გენშერი. ჩემთვის მთავარია, საქართველოს გადარჩენა და არა ის, ვინ რას იტყვის. თქვენ ნახეთ, რომ მნიშვნელოვანი ქვეყნის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ და საუკუნის პროექტს მოვაწერეთ ხელი.

**ინგა გრიგოლია: სამების ტაძრის თემას მივუბრუნდები, მე მახსოვს, ჩემმა კოლეგამ, ნათია მიქიაშვილმა, თქვა, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ტაძარში შემოდიოდნენ „სპეცნაზელები“... ეს არ იყო მოწოდება.**

**მიხეილ სააკაშვილი:** რას ამბობთ, ინგა? ჭორების გავრცელებაც და იმის მითითებაც კი, რომ სამების ტაძარზე მიდის თავდასხმა, არ არის ზოგადი განცხადება. ეს თამაში არ არის.

**ინგა გრიგოლია: თქვენ ბევრჯერ გექნებათ ნანახი, რა მოხდა რიყეზე. იქ მოხდა ერთგვარი სამხედრო ოპერაცია, როდესაც ჯავშანით აღჭურვილი სპეცრაზმელები მიემართებოდნენ ხალხისკენ.**

**მიხეილ სააკაშვილი:** რიყეზე იყო კონკრეტული მოწოდებები, მრავალი ადამიანი დაზარალდა, პოლიციის მანქანები დაიმსხვრა. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ეს მოხდებოდა, მთავრობას ექნებოდა ადეკვატური რეაქცია. ამიტომ ნუ გავავლებთ პარალელებს რაღაც გაურკვეველ ისტორიებთან. ქვეყანაში ყველა უნდა ვიყოთ ბევრად უფრო ფრთხილად, რომ მსხვერპლი არ იყოს. საკამათო იყო ბევრი რამე, მაგრამ ბევრად უარესი მოხდებოდა, რომ არ გაგვეჩერებინა ეს მოწოდებები, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიტერორისტული მოწოდებები. დღეს ჩვენ ორ დიდ უბედურებას შორის გამოვედით უმცირესი უბედურებით.

**ინგა გრიგოლია: მივუბრუნდეთ ისევ ტელეკომპანია „იმედს“, რატომ გახდა საჭირო ასეთი ფორმით დახურულიყო ტელევიზია? გაჩნდა ეჭვი, რომ ამით უნდა მომხდარიყო ჟურნალისტების შეშინება.**

**მიხეილ სააკაშვილი:** მე ნამდვილად არ მსიამოვნებს ის, რაც მოხდა. ამდენი ხნის განმავლობაში თქვენ გვაკრიტიკებდით, მაგრამ მუშაობდა „სიცრუის მანქანა“. მე პირადად თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემთ, ბევრი თქვენგანი ხართ ძალიან კარგი ადამიანი, წლების განმავლობაში მე თქვენთან მქონდა თბილი ურთიერთობა. მე არასოდეს მითქვამს ტელეკოპანია „იმედისთვის“ ინტერვიუზე უარი. ასეთი იტერვიუ მე მქონდა შარშან და მაქვს ახლა. მაგრამ როდესაც შენ თამაშობ ფეხბურთის წესებით და იქიდან რაგბის წესებით გეთამაშებიან, ძნელია ითამაშო. მე და ჩემი კოლეგები სიამოვნებით ვეკონტაქტებით ჟურნალისტებს და სიამოვნებით დავეკონტაქტებით, მაგრამ არა იმის ფონზე, რომ პატარკაციშვილი დიდი ხანია, ოცნებობს ხელისუფლების დამხობაზე და სურს ამოაყირავოს ეს ხელისუფლება. ამ სიტუაციაში მე მარტო არ მიმიღია ეს გადაწყვეტილება, ჩვენ კოლექტიურად გადავწყვიტეთ და მოვიქეცით ისე, როგორც მოიქცევა ის ხელისუფლება, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის და ხალხის წინაშე. ასე უნდა მოქმედებდეს ხელისუფლება, რომელიც იმ წუთიერ გამორჩენაზე კი არა, მომავალზე ფიქრობს. ტელეკომპანია „იმედი“ გადაიქცა იმ ერთი ადამიანის სამართავ, მის ბრმა იარაღად, რომელსაც აქვს არაკეთილსინდისიერი მიზნები საქართველოსთან მიმართებით. თქვენ მკითხეთ, — როდის აღდგება „იმედი“? „იმედი“ აღდგება მაშინ, როდესაც ჩვენ დავინახავთ, რომ აღარ არის საფრთხე პატარკაციშვილის ბინძური მეთოდებით ხელისუფლების დამხობისა, როდესაც კანონიერ ჩარჩოებში ჩაჯდება გადაცემები, იქნება ამის გარანტიები და „იმედი“ გაიხსნება მაშინ.

**ინგა გრიგოლია: ჩვენ ვხდებით იმის მოწმე ყოველდღე, საქართველოს მაუწყებლობის ყველა ეთერში ტრიალებს ფილმი, საბჭოთა კავშირის პროპაგანდას ხომ არ გაგონებთ თავისი გახმოვანებით, რომ დამტკიცდეს რაღაც შეთქმულების მზადება. ორი ადამიანის ნათქვამი მინდა გადმოგცეთ, რომ ეს ფილმები საბჭოთა დროის ფილმებს გვახსენებს, როდესაც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრა.**

**მიხეილ სააკაშვილი:** ბომბეიდან ლონდონამდე რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ ლონდონიდან თბილისამდე გვირაბის გათხრის მცდელობები ხორციელდება. თქვენ პროფესიონალი ხართ და უკეთ იცით, ვის როგორი ხმა აქვს, ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. პოლიტიკოსი, რომელიც მიმაჩნდა, რომ იყო ინტელექტუალი და დისიდენტი, დღეს გვიკიჟინებს, რატომ არ გამოდიხართ „ეს-ენ-გე“-დან, ჩქარა გამოვიდეთ „დე-სე-თე“-დან, ჩქარა გავიყვანოთ რუსეთის ჯარიო. მერე ურეკავს რუსეთის საელჩოს დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენელს და რომელზეც იმფორმირებულია ყველა დეპუტატი, აბსოლუტურად მაამებლური ხმით აბარებს ანგარიშს საქართველოს პარლამენტის დახურულ ბიუროზე მიმდინარე ქმედებებზე და აცნობს შემდგომ სტრატეგიას. იცით, რა გინდათ? საბჭოთა ვექახოთ და აქ საზოგადოებამ განსაჯოს. უსიამოვნოა. შეიძლება საზოგადოებას ხმა არ მოეწონოს, მაგრამ მთავარია, შინაარსი მოეწონოს. ჩვენ საზოგადოებას ვუთხარით, — აი, ეს ხდება და თქვენ გააკეთეთ არჩევანი.

**ინგა გრიგოლია: როდესაც გისმენდით, გამახსენდა, რომ ყველას გვისმენენ და გამიჩნდა განცდა, რომ საერთოდ გადავაგდო და უარი ვთქვა ტელეფონის ხმარებაზე. არის თუ არა ეს პოლიციური რეჟიმი? — უსმენენ პროდიუსერს, პოლიტიკოსს, ჟურნალისტს.**

**მიხეილ სააკაშვილი:** მოსმენა ჩვენი კანონმდებლობით ხორციელდება სასამართლოს სანქციით და მეორე, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში არ უსმენენ ყველას. ამისი არც ტექნიკა არსებობს და არც სურვილი, თუკი ვინმემ იცის, რას ნიშნავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მის პირად ცხოვრებას აყენებენ შეურაცხყოფას, ეს ვარ მე, ჩემი ოჯახი და ჩემი მეგობრები. რაც ჩვენ მიმართ იკადრეს, დაწყებული ასლან აბაშიძის დროიდან, მოყოლებული დღევანდელი ოპოზიციის ჩათვლით, ძალიან კარგად მესმის პირადი ცხოვრების შეურაცხყოფა. უფრო მეტსაც გეტყვით, ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა მითითება, რომ შეეგროვებინათ კომპრომატები და ჩვენ არაერთი სამხილი გვაქვს ამისი. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და ჩვენს მთავრობას ამაზე ექნება შესაბამისი რეაგირება. ეს არის სამართალდამცველების გადასაწყვეტი, ბევრი რამე არჩევნების მერე გამოაშკარავდება, საკმარისად დავშოკეთ საზოგადოება, ნუ ვილაპარაკებთ, ვინ რა დღეშია, რადგან არც მე და თქვენ მთელი საზოგადოების სახელით ლაპარაკის უფლება არ გვაქვს. ჩვენ არ დავუშვებთ, საქართველოში დაირღვეს ადამიანის უფლებები. მე ვხედავ იმას, რასაც ვხედავ და შესაბამისი რეაგირება უნდა მოვახდინო ამაზე.

**ინგა გრიგოლია: თქვენ ამის მერე დანიშნეთ საპრეზიდენტო არჩევნები და პლებისციტი. ეს გადაწყვეტილება მიტინგის პირველ დღეებში ან მერე რომ მიგეღოთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ შეგეძლოთ ამ ყველაფრის აცილება? ერთ-ერთ გადაცემაში მე ინტერაქტიულ გამოკითხვაში დავსვი შეკითხვა, — როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი შეიძლება მივიდეს მიტინგზე? მე, სადღაც, ესეც დავუშვი, რადგან მე მახსოვს, მიხეილ სააკაშვილი როგორი იყო მიტინგებთან მიმართებით და როგორი იყო, როგორც ლიდერი. ხალხისთვის შოკი იყო, როდესაც დაარბიეს ისინი, არ ელოდნენ ამას. შეგეძლოთ თუ არა პირველივე დღეს მიგეღოთ ეს გადაწყვეტილება და რატომ მოხდა დაშლის შემდეგ?**

**მიხეილ სააკაშვილი:** მე მინდა გითხრათ, რომ შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, მე უნდა მივსულიყავი თუ არა იმ მიტინგზე, სადაც მაგინებდნენ და მლანძღავდნენ. ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფალი საშუალება, მე ვხვდები ათასობით ადამიანს ყოველ კვირას, თუკი ვინმე შეხვედრია ბევრ ადამიანს არა მიტინგებზე და ტელეკამერების წინ, ეს ვარ მე, გარწმუნებთ, ინფორმაციებს მე მხოლოდ მიტინგებიდან და ტელევიზიებიდან არ ვიღებ. ჩვენ როდესაც მოგვაწყდა ეს ხალხი, პატარკაციშვილის დაკვეთა იყო ასეთი, რომ დაუყოვნებლივ დაგვენიშნა საპარლამენტო არჩევნები. ეს ნიშნავდა იმას, რომ როდესაც კოსოვოს საკითხი წყდება, როცა რუსეთმა ნათლად თქვა, თუ ამერიკა აღიარებს კოსოვოს, ჩვენ ვაღიარებთ აფხაზეთსო, როდესაც ვიცით, რამხელა თემაა რუსეთისთვის საქართველოს შიდაპოლიტიკა, რთული და ფეთქებადსაშიში ვითარება გვაქვს ცხინვალში, აფხაზეთში, მე ძალიან სარისკოდ მიმაჩნდა და მიმაჩნია არჩევნების თემა საქართველოში. მაგრამ მე არ დავნიშნე საპარლამენტო არჩევნები, როგორც ისინი მოითხოვდნენ, დავნიშნე საპრეზიდენტო არჩევნები და პლებისციტი იმიტომ, რომ მე მაინტერესებს ქვეყნის განვითარება, ქვეყნის მოწესრიგება, ამიტომ ორი თვით ადრე დავნიშნე საპრეზიდენტო არჩევნები, სანამ რუსეთში ჩატარდება, ამიტომ მე შევკრიბე მთელი მთავრობა, რომ ქვეყნის აღმშენებლობა არ შეჩერდეს და სიტუაცია ხელიდან არ გავუშვათ. მე არ მეშინია და არც ხალხს ვაშინებ, ჩვენი მთავრობა — ახალი პრემიერ-მინისტრი, ნინო ბურჯანაძე —

# აღრეული დრო

**თუ არ იქნება ძალადობის და არეულობის საფრთხე, ამ საკითხს გადავწყვეტთ. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში, ასე მოსწონს ვინმეს თუ არა. იქნება საფრთხე და ტელევიზია იქნება საქართველოსადმი არაკეთილგანწყობილი პიროვნების ხელში, რა თქმა უნდა, არ გაიხსნება**



**სიტყვა – ბანზე?**

# „მიმაჩნდა და მიმაჩნია საქართველოში“

## პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან

არიან საკმაოდ მომზადებულები მორალურადაც, პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც, ტექნიკურადაც იმისთვის, რომ არავის არ აარჩიონ ქვეყანა.

**ინგა გრიგოლია: ტელეკომპანიის ბოიკოტირება დაიწყო მას შემდეგ, რაც მოხდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გაშუქება. ეს არის თემა, რომელმაც საზოგადოებაში მართლაც შემოიტანა გარდატეხა. მანამდე არ იყო აქტიური საუბარი. თქვენ არსად გისაუბრიათ გირგვლიანის თემაზე – პრეზიდენტის რეაქცია, თუ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე. ვანო მერაბიშვილის თემა სანდრო გირგვლიანის თემას მოჰყვა, მისი მეუღლის დასახლება, ახალაიების თემა, ყველაფერი ერთ კონტექსტში მოექცა.**

**მიხეილ სააკაშვილი:** პირველი ნამდვილად არ არის, მე არაერთხელ მისაუბრია. შეიძლება თქვენ არ გახსოვთ, ეს იყო დიდი ტრაგედია, პოლიციელების 80% შევცვალეთ და მოვიყვანეთ ახალი და მაინც უმრავლესობა საზოგადოებაში სარგებლობს დიდი პატივისცემით, მაგრამ ალბათ რაღაცები ახალგაზრდა, რომელსაც აუცილებლად თავში, ეს არის ძალიან დიდი ტრაგედია, საზოგადოებრივი რეაქცია იყო ძალიან სამართლიანი. ამ ტრაგედიის გამო იმ პოლიციის თანამშრომელი იხდის სასჯელს.

**ინგა გრიგოლია: მათ გაუნახევრეს სასჯელი.**

**მიხეილ სააკაშვილი:** არაფერიც არ გაუნახევრებიათ. ამას მეც ვაკონტროლებ და ისინი სხედან ციხეში. საზოგადოებრივი და სამართლებრივი გაღიზიანება მოჰყვა და მე ვიზიარებ, მაგრამ ხალხი შემდგომ ატრიალებს ოჯახის თემას, ცოლის თემას, შვილის თემას და ყველას, ვისზეც აქვს წყენა. მართლაც, ძალიან საწყენია, როდესაც ამ ახლაგაზრდის თემას სათავისოდ, ბინძური მიზნებისთვის იყენებენ. როდესაც პატარკაციშვილი გირგვლიანზე ლაპარაკობს, ეს არ არის ის კაცი, რომელიც ვინმეს შეკვეთებზე უნდა ლაპარაკობდეს, ანდრეი ლუგავოი, რომელიც იყო მისი დაცვის უფროსი, ძებნილია. მე არ ვარ პროკურორი, რომ ამ ადამიანზე ვისაუბრო.

**ინგა გრიგოლია: აღმოჩნდა, რომ დათა ახალაია კვლავ იმავე სამსახურში მუშაობს, შესაძლოა, ხალხის გაღიზიანებაც ამან გამოიწვია. შეგახსენებთ, ამირან რობაქიძეს, რომელიც პატრულის მიერ არის მოკლული.**

**მიხეილ სააკაშვილი:** რობაქიძის მკვლელობა მთავრობის გახსნილია. ნუ გავავლებთ პარალელს, ოთხი ოფიცერი იხდის სასჯელს, თარგამაძის დროს შსს-ში მეექვსე სართულიდან დღეგამოშვებით ცვიოდა ხალხი, ჩვენ ვართ მთავრობა, რომელმაც დაიჭირა პარლამენტის სამი თუ ოთხი წევრი, ჩვენ ვართ მთავრობა, რომლის დროსაც კონკრეტულ შემთხვევებზე დაჭერილია ათეული პოლიციელი, ეს არის ჩვენი სიძლიერე და რაღაც სახით ჩვენი სისუსტეც. როდესაც მთავრობა თავის ხალხს ხელს არ აფარებს, ეს ვილაცას უქმნის ცდუნებას, რომ სხვაგან წავიდეს, მაგრამ სწორედ ამის ხარჯზე მივაღწიეთ იმას, რასაც აქამდე მივაღწიეთ.

**ინგა გრიგოლია: მინდა ჩარეცხილების თემას შევეხო, რომელიც ჩემს გადაცემას მოჰყვა. რატომ მოხდა ისე, რომ საზოგადოებისთვის ბევრი საყვარელი ადამიანი მოხვდა ჩარეცხილების სიაში?**

**მიხეილ სააკაშვილი:** თქვენს გადაცემაში ერთი ორი გამოვიდა და თქვა, რა უბედურებაა ის, რომ ჩვენ კანონიერ ქურდებს ვებრძვით და პოლიციასთან უნდა ვითანამშრომლოთო? საქართველოში დანაშაული შემცირდა, თითქმის აღარ იპარავენ მანქანებს, ქურდობის კლასი მოვხსენით და მე ამით ვამაყობ, ახალი მანდატი სწორედ იმისთვის მინდა, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, ამ დროს ვილაცა გამოდის, ვისაც პრეტენზია აქვს მორალისტობაზე. მე არ მგონია, რომ ქართველი ერის ფასეულობა არ არის ილია ჭავჭავაძეში და არის ტარიელ ონიანის და თქვენი პატარკაციშვილის ახლო ძმაკაცის...

**ინგა გრიგოლია: ჩემი რატომ არის?!**

**მიხეილ სააკაშვილი:** ბოდიში, ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს. არა მგონია, რომ შაქრო კალაშოვი იყოს ქართველი ერის სახე. ოლიმპიადაში გამარჯვებულ ვაჟკაცებთან გამოვედი და იქ ვთქვი, შაქრო კალაშოვის იდეოლოგიის გამტარებლები არიან ჩასარეცხები, თორემ მე არც ერთი ადამიანი არც ჩასარეცხად, არც მოსალაპარაკებლად, არც გასანადგურებლად არ მემეტება. ესთეტიკურად შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ ჩემთვის არასოდეს არ იქნება მისაბაძი ორიენტირი კალაშოვი. საქართველო არასოდეს არ უნდა დაემსგავსოს კალაშოვებს და ტარიელ ონიანების საქმეებს. ხალხი ძალიან ბრძენი და რაციონალურია და გადაწყვეტს მომავალი ყოველთვის აქართველის სწორ გადაწყვეტილებას.

**ინგა გრიგოლია: მინდა შეგახსენოთ ირაკლი ოქრუაშვილი. პრეზიდენტი, რომელიც ყოველთვის სწორებას აკეთებდა ხალხს ირაკლი ოქრუაშვილზე, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტისადმი სწორედ მისი მხრიდან წამოვიდა ბრალდებები და შესაძლოა, ამდენი ხალხის გამოსვლაც სწორედ ამას მოჰყვა. მოდით, დავიწყოთ ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდებებზე საუბარი...**

**მიხეილ სააკაშვილი:** მე ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან არ მგონია, არსებობდეს თუნდაც ათი ადამიანი, რომელთაც ოქრუაშვილის ერთი სიტყვის სჯეროდეს. ყველას მინდა, ბოდიში მოვუხადო, რომ ასე შევცდი ოქრუაშვილში. მე მინდა ვთქვა, რომ თავიდან ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ საბოლოოდ მაინც მე გავუშვი თანამდებობიდან, მაგრამ ის, რომ დღეს საქართველოს თავში არ ურტყამენ და გვერდს უვლიან, ეს არის დიდი დამსახურება, ჩვენი დიდი ოფიცრების დამსახურება. მე ამით ძალიან ვამაყობ. როდესაც მივხვდი, რომ ოქრუაშვილს ვერ ვუვლიდი, მე ის გავუშვი. ნურავის ნუ აქვს ილუზია, თუ ვინმე რამეს დაგეგმავს, მას ეს არ შერჩება.

**ინგა გრიგოლია: ზურაბ ჟვანიას თემა მინდა განვიხილო. ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, რომ ჟვანიას ცხედარი იქ მიიტანეს.**

**მიხეილ სააკაშვილი:** მე უკვე გაგეცით პასუხი და არ მინდა, თქვენი და ჩემი დრო დავხარჯო ათასგვარ სისულელეზე.

**ინგა გრიგოლია: კობა სუბელიანმა მთავრობის ბოლო სხდომაზე საინტერესო რამე თქვა. ისე არ მოვიქცევი, რომ პრეზიდენტი უხერხულობაში ჩავაგდოო.**

**მიხეილ სააკაშვილი:** კობა სუბელიანს დიდი ხანია, ასეთი ბრძნული რამ არ უთქვამს.

**ინგა გრიგოლია: მე ძალიან მიყვარს კობა სუბელიანი, მედია-შეკრებაზე მე ის ჩემ ფავორიტად დავასახელე.**

**მიხეილ სააკაშვილი:** ხომ ხედავთ, თქვენი ხალხი მოდის ხელისუფლებაში. სულ კითხულობენ, ვისი ხალხი მოდისო და აგერ, თქვენი მოდის.

**ინგა გრიგოლია: როგორ ფიქრობთ, თქვენი გუნდიდან ყოველთვის ფიქრობდნენ ასე, რომ თქვენს იმიჯს გაფრთხილებოდნენ? თავიდან ჟურნალისტებთან ურთიერთობა დაძაბა მაია ნადირაძემ, იყო ერთგვარი გაღიზიანება, რას იტყვით იგივე გიგა ბოკერიაზე, დათო კირკიტაძეზე?**

**მიხეილ სააკაშვილი:** ისინი ავთო ცქვიტინიძის მოდელები ხომ არ არიან, ადამიანებს პროფილის მიხედვით მოსწონდეს, თუნდაც ლაპარაკის მიხედვით. ისინი არიან კანონმდებლები და უნდა შეფასდნენ მიღებული კანონებით. ყველა ვარაუდობდა, რომ ესენი დაიშლებიან, თქვენი მფლობელი ათ ფეოდალურ ერთეულზე საუბრობდა, ეს მახსოვს ასლან აბაშიძისგანაც. ყველა ამბობდა, რომ დავიყოფით და დავნაწევრდებით, ჩვენ შევინარჩუნეთ გუნდი და ეს მიმაჩნია ჩვენს პირად მიღწევად. ის, რომ ახალი სისხლი მოდის, ლადო გურგენიძე მოვიდა, ეს არის მართლაც ის, რომ ჩვენ შეგვძლებია ერთობა. საგარეო ფრონტზე გადამწყვეტ ნაბიჯებს გადავდგამთ. კობა სუბელიანი არის ერთი უბრალო ბიჭი, რომელიც იყო სტიპარიანი, ასეთი ხალხი მოდის მთავრობაში. ეს ნიშნავს, რომ მთავრობას აქვს დიდი პოტენციალი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება განახლება, ძალიან ბევრ ადამიანს მოვიყვანთ, ყველა ასაკის და გამოცდილების ადამიანს ვიპოვით ჩვენ, განსაკუთრებით ადამიანები არ გვყავს, ჩვენი მოსახლეობის საშუალო ასაკი იმატებს და იმუშავებენ ინტენსიურად, „პრარაბებად“ და სკოლის დირექტორებად. თქვენ ამას ნახავთ. ჩვენ ოთხ წელიწადში განვლეთ გზა და ამ ვიხილავთ ისეთი წარმატებები, სხვა ქვეყნებს 30 წელიწადი დასჭირდებოდათ.

**ინგა გრიგოლია: დსთ-დან გამოსვლასთან დაკავშირებით პოლიტიკური ოპონენტები ხშირად გააკრიტიკებენ.**

**მიხეილ სააკაშვილი:** ხომ ნახეთ, ეს ოპონენტები პირდაპირ „შეურით“ მიეკონტაქტებიან პროსპექტზე, ჩვენ თუ არჩევნებს ჩავატარებთ კარგად, დარწმუნებული ვარ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში და დსთ-დან ავტომატურად გამოვალთ. ბოლო რუსმა ჯარისკაცმა დატოვა საქართველო, მთავარი ახალი ამბავი ეს კი არ იყო თქვენი ტელევიზიაში, შვიდი კაცი მეგაფონით რომ დარბოდა, ის იყო. ასეთი კულტურა ჩამოყალიბდა. საქართველო ასე დამოუკიდებელი არ ყოფილა რუსეთისაგან. ენერგეტიკის გამო პირდაპირ „შეურით“ ვიყავით მიზნული. დღეს ჩვენ ელექტროენერგიას ვიღებთ აზერბაიჯანიდან. ასევე კახელები აქციაზე არ ყოფილან, რადგან ეს ხალხი დაკავებული იყო შრომით. ამდენი დანაშაულებზე ხშირად, რატომ დავდივარ კახეთში? დავდივარ იმიტომ, რომ მადლობა ვუთხრა. ეს ხალხი არის გმირი.

**ინგა გრიგოლია: სხეფერმა თავის გამოსვლაში თქვა, ალიანსის მოთხოვნებს არ პასუხობს პრესის შეზღუდვაო.**

**მიხეილ სააკაშვილი:** დიდი ბრძოლა მიდის იქაც, ალიანსში ქვეყნები არიან, რომელთაც არ სურთ საქართველოს გაერთიანება, რუსეთთან გართულებები არ უნდათ, რუსეთმა მათთან დააყენა ულტიმატუმი. ჩვენ ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. პოლონეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა, ყველაფერი მიატოვა და „ვარდების რევოლუციის“ დღეს ჩვენთან ჩამოვიდა, ლიტვის პრეზიდენტს თვითმფრინავი გაუფუჭდა, მაგრამ მაინც ჩამოვიდა. ასეთი ხალხიც არსებობს. სხეფერი ამ მეგობრების სიაშია და უნდა ჩავკიდოთ ხელი. სულ რომ ყველამ მიგვატოვოს, ჩვენ მაინც ჩვენს ქვეყანას დავიცავთ. ძალიან ბევრი მხარდაჭერა მივიღეთ, მაგრამ ფული ჯოჯოხეთს ანათებს. თუ ჩვენ ქვეყანას დავთმობთ, ჩვენი შთამომავლობა დაგვწყევლის. ამიტომ დღეს გვაქვს ეს პასუხისმგებლობა.

**ინგა გრიგოლია: კოსოვოს პრეცედენტზე მინდა გკითხოთ და თქვენგან მოვისმინო, რამდენად არის საფრთხე?**

**მიხეილ სააკაშვილი:** საფრთხე არის, ძალიან ბევრ რამეში, რუსეთი დამნაშავეა, თუმცა არა ყოველთვის, რუსეთს დიდი ხანია, აფხაზეთზე თვალი უჭირავს. მოსახლეობის 90% წამოსულია, არც ჩვენ გვაქვს განზრახვა, სამხედრო გზით გადავწყვიტოთ ეს საკითხი, მაგრამ შავი ზღვის ზოლი არის უზარმაზარი საგანძური ჩვენთვის და ეს საგანძურია რუსეთისთვისაც. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად. ჩვენ გვაქვს რესურსები, რომ არ დავუშვათ ტერიტორიის დაკარგვა, ოღონდ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სტაბილურობა. ორჯერ მეტის გაკეთება შეგვიძლია, აფხაზეთი რომ იყოს ჩვენი. ამ ინვესტიციებს გურგენიძის მთავრობა ამოქაჩავს, იმედი მაქვს. რაც უფრო ჩქარა ჩავატარებთ არჩევნებს, უკეთესია ჩვენთვის. თუ ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები, ვერასდროს ვიქნებით სრულფასოვანი სახელმწიფო. ამას გავაკეთებთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. არის გაჭირვება, მაგრამ ვერასდროს ვერ უნდა წაგვართვას აფხაზეთი.

**ინგა გრიგოლია: გახდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი მეორე ვადის პრეზიდენტი? მე რომ ექსპერტი ვიყო და ჩემთვის რომ ეკითხათ, მე ვიტყოდი, რომ 7 ნოემბერი იყო ყველაზე მძიმე დღე თქვენი პრეზიდენტობის მანძილზე.**

**მიხეილ სააკაშვილი:** 7 ნოემბერი იყო უსიამოვნო დღე, მაგრამ უმძიმესი იყო 2004 წლის აგვისტო, როდესაც გველუპებოდა ჯარისკაცები, მაშინ შევფიცე, რომ ჩვენ გავაკეთებთ ისეთ ჯარს, ისეთ პოლიციას, რომ ვერასდროს ვერავინ დაგვამცირებს, თავზე ვერ წამოგვართყამს და ველარ შეძლებს, ტალახში ამოგვსვაროს. რა თქმა უნდა, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩემთვის ამოცანა არის არა პრეზიდენტობის შენარჩუნება, არამედ ქვეყნის აღმშენებლობა. იმიტომ, რომ ჩემთვის მთავარი ხატება იყო ქართველი ხალხი, მივედი და ვუთხარი, – თქვენ ხართ თავისუფალი და აირჩიეთ, ჩვენ უნდა წავიყვანოთ თუ არა ქვეყანა აღმშენებლობისკენ.

**ინგა გრიგოლია: ეს ყველაფერი კარგია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ამ ყველაფრის უკან არის ბევრი სოციალური პრობლემაც.**

**მიხეილ სააკაშვილი:** აი, მე ვხედავ უკვე ობიექტურ ინგა გრიგოლიას. უმუშევრობა შემცირდა, მაგრამ ჩვენ ის კიდევ უნდა შევამციროთ. პირველი დეკემბრიდან ხელახლა დასაქმებას ვიწყებთ, სიღარიბეს რაც ეხება, გაიზრდება პენსიები და საქართველოში არ იქნება არც ერთი ადამიანი, ვისაც შია, სცივა ან ვერ მკურნალობს. ჩვენ ნაწილობრივ შევძელით ამ პრობლემების მოგერიება.

**ინგა გრიგოლია: რომ ახსენეთ ვაუჩერი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს არის საარჩევნოდ გაკეთებული, ასეთი აზრიც მოვისმინე ხალხში.**

**მიხეილ სააკაშვილი:** თუ მეხსიერება არ აქვს, არ აქვს და არ ეშველება არაფერი. ვაუჩერების საკითხი ორწლიანი პროგრამა იყო და ახლა ხორციელდება. დავაჩქარეთ იმიტომ, რომ მართლა უჭირს ხალხს და ველარ იცდის. მთავარია, ჩვენი მიმართულება უნდა იყოს სოციალური. იმასაც გეტყვით, ეს ყველაფერი კომპრომისების შედეგია. რაღაც პროგრამები გრძელვადიანად უნდა გაიწელოს და მათ ხარჯზე უნდა დაჩქარდეს სოციალური პრობლემების მოგვარება. მთავარი ის არ არის, საქართველო როგორი იქნება იანვარში, არამედ როგორი იქნება ათ წელიწადში.

**ინგა გრიგოლია: კონკურენტებს თუ აღიარებთ და ვინ არიან?**

**მიხეილ სააკაშვილი:** ლონდონში იბარებენ და კონკრეტულ თანხას ასახელებენ, ვინ რამდენად უნდა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რომ ერთადერთი ბადრი პატარკაციშვილის კანდიდატურა დარჩეს. კონკრეტული ადამიანები რაღაც სარგებელს მიიღებენ, მაგრამ რამდენი ფულიც არ უნდა ჩაიდოს, ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვთ ქართველ ხალხზე, თუ რისი და ვისი ყიდვა შეიძლება ფულით. ვერც ერთი პოლიციელი ვერ გადაიბირეს, ვერც ერთი ხელოვნების მოღვაწე. ქართველი ხალხი ფულზე არ იყიდება, არსებობს რაღაც ზნეობა და რაღაც ფასეულობა. მე უფრო მაინტერესებს, იქნებიან თუ არა კანდიდატები, რომლებიც სერიოზულ თემებზე ისაუბრებენ, ეკონომიკაზე, განათლებაზე, მედიცინაზე. ის კაცი, ვისზეც მე ვსაუბრობდი, ყველანაირ სიბინძურეს იკადრებს, მაგრამ არსებობს ხალხი, ვინც ფიქრობს ქვეყანაზე. წინ არის 40 დღე და ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად და ჩვენ უნდა გვქონდეს კონსტრუქციული დებატები. ჩვენი არც ერთი ოპონენტი, ერთი-ორის გამოკლებით, არ არის ქვეყნის მტერი და მათი დაკარგვა არ შეიძლება.

**ინგა გრიგოლია: დათანხმდებით მათთან დებატებზე?**

**მიხეილ სააკაშვილი:** რატომ არა, აგერ თქვენ მკითხეთ, ბევრი ისეთი კითხვა დამისვით, რაზეც წარბი არ შემიხრია, რაც ბევრს, შეიძლება, არაკორექტულად მოსჩვენებოდა. თუ იქნება ნამდვილი დებატები, ნებისმიერ ადამიანს დავუჯდები და ვესაუბრები კონკრეტული ადამიანის საკითხებზე. როდესაც საკითხი კონკრეტულია, ჩემი სახით იპოვიან დებატორს. ჩვენ ვართ განსაკუთრებული ქვეყანა ჩვენი მრწამსით, მაგრამ ვართ ცოტანი და არ გვყავს არავინ დასაკარგი. ყველა მათგანს ვპატიჟებ დებატებზე.

**ინგა გრიგოლია: იმედს ვიტოვებ, რომ ჩემს გადაცემაში დაჯდებით დებატებზე თქვენ კონკურენტებთან. ბოლოს მინდა, მადლობა გადაგიხადოთ, მინდა, რომ ჩემი საუბარი დავასრულო იმედიანად და ჩემი კოლეგების სახელით კიდევ ერთხელ დავსვა შეკითხვა, გაიხსნება ტელეკომპანია „იმედი“ თუ არა?**

**მიხეილ სააკაშვილი:** თუ არ იქნება ძალადობის და არეულობის საფრთხე, ამ საკითხს გადავწყვეტთ. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში, ასე მოსწონს ვინმეს თუ არა. იქნება საფრთხე და ტელევიზია იქნება საქართველოსადმი არაკეთილგანწყობილი პიროვნების ხელში, რა თქმა უნდა, არ გაიხსნება. მე ვერასოდეს ვერ გავხდები იმ ქვეყნის პრეზიდენტი, სადაც არ იქნება დემოკრატია, ინფორმაციის სრული თავისუფლება, როგორც არ უნდა მომწონდეს მათი აზრები, ოღონდ ის განსხვავებული აზრიც უნდა ჯდებოდეს კონსტიტუციის ფარგლებში. წარმატებას გისურვებთ პირადად თქვენ და თქვენს კოლეგებს.

**ტექსტი მოგვაწოდა „ალია-ჰოლდინგმა“**

# ადუღებული დრო

• ორივე გუნდში არის ხალხი, ვინც დიალოგისთვის მზად არის, თუმცა ხელისუფლება, ცალკეულ ოპოზიციონერებთან შეხვედრაზე უარს აცხადებს





◉ აქტუალური თემა

## კონსულტაციები სატელევიზიო ეთერით

**კულუარული ხმებით, ამ რამდენიმე დღის წინათ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე მისული პრეზიდენტობის ორი კანდიდატი შალვა ნათელაშვილი და დავით გამყრელიძე ერთმანეთს წაეკიდნენ. როგორც კულუარებში ლაპარაკობენ, ნათელაშვილი უკვე გადიოდა სასტუმროდან, როცა გამყრელიძე შემოვიდა. სასტუმროს ფოიეში პრეზიდენტობის ორი კანდიდატის შეხვედრა ხანმოკლე, უკმაყოფილო საუბრით შემოიფარგლა.**

ძნელი სათქმელია, მათი უკმაყოფილების მიზეზი რა შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვათა შორის, გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ მისი ახალი ინიციატივა არც ერთ ოპოზიციურ კანდიდატს და მათ შორის შალვა ნათელაშვილს, უკმაყოფილოს არ დატოვებს. კერძოდ, დავით გამყრელიძე არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული რამდენიმე კანდიდატი ამომრჩევლის ხმებს გაყოფს. პირიქით, მიიჩნევს, რომ იმდენად რამდენადაც ყველა ტიპის პარტიას თავისი ამომრჩეველი ჰყავს, ოპოზიციის გაერთიანება სასურველი არც არის. მაგალითად, ის, ვინც ნათელაშვილს უჭერს მხარს, შეიძლება არ აძლევდეს ხმას მემარჯვენეებს. ამიტომ თუკი ისინი, ვთქვათ, გაერთიანდნენ, შეიძლება ორივემ დაკარგოს ამომრჩევლის რაღაც ნაწილი. ამდენად, მისი აზრით, უკეთესიც არის, თუკი ეს პოლიტიკური ძალები ცალკე დგომით თავ-თავიანთ ამომრჩეველს შეინარჩუნებენ. გამყრელიძის ინიციატივით, იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნების მეორე ტური დაინიშნება, ერთიანი ძალისხმევით, ოპოზიციიდან გავა ის კანდიდატი, ვინც ყველაზე მეტ ხმას აიღებს, ანუ ისინი ყველანი, ოპოზიციის საერთო კანდიდატის გარშემო გაერთიანდებიან.

მიუხედავად გამყრელიძის ამ მოსაზრებისა, ექსპერტთა ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ ვერ სძლია საკუთარ ამბიციებს და ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდა. უამრავ კანდიდატს კი, მათი აზრით, მაქსიმუმი რაც შეუძლია, ერთმანეთისთვის ხმების წართმევაა. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ოპოზიცია, რომელიც ყოველ შემთხვევაში ისეთი სუსტი არ არის, როგორც ერთი-ორი წლის წინათ იყო, გაერთიანდა და ბელადობაზე პრეტენზია არა აქვს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მან ოფიციალურად განაცხადა, შეცდომები იყო და ვეცდებით მათ გამოსწორებასო. მოქმედი პრეზიდენტი სოციალური დახმარების პროგრამებს აძლიერებს, პრემიერ-მინისტრს და უშიშროების საბჭოს მდივანს ცვლის და ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება. ახალ პრემიერ-მინისტრს და მთავრობის კაბინეტს, სადაც ორი მინისტრი უკვე შეიცვალა, პარლამენტი ნდობას უცხადებს. უმრავლესობა მთავრობის შეცვლას ორ თვეში კიდევ ელოდება.

ორივე გუნდში არის ხალხი, ვინც დიალოგისთვის მზად არის, თუმცა ხელისუფლება, ცალკეულ ოპოზიციონერებთან შეხვედრაზე უარს აცხადებს.

რა ხდება ცესკოში? საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ცესკო მუშაობას არსებული შემადგენლობით განაგრძობს. ამასთან, მას წინა არჩევნებზე ბარიერგადალახული პარტიების მიერ წარდგენილი თითო წევრი დაემატება. ოპოზიცია საარჩევნო კომისიებში კვლავაც პარიტეტულ სიტუაციას ითხოვს, ანუ მიიჩნევს, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას თანასწორად უნდა ჰყავდეს ხალხი ყველა დონის კომისიაში. საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ეს გამორიცხულია და მაქსიმუმი, რაზეც შეიძლება ოპოზიციას ელაპარაკონ, ესაა თანაფარდობა შვიდი ექვსზე. თუმცა, ამ ექვსში შედიან ლეიბორისტული პარტია და მემარჯვენე ოპოზიცია, რომლებიც ოპოზიციის ერთიანი საბჭოს წევრების აზრით, საკუთარ თავს მესამე მხარედ წარმოაჩენენ.

აზრთა სხვადასხვაობაა დიალოგთან დაკავშირებითაც. ახლებს და მათ პარტნიორ მრეწველებს მიაჩნიათ, რომ კონსულტაციების შედეგად, საარჩევნო კოდექსზე უმრავლესობასთან ნაწილობრივ შეთანხმებას მიაღწიეს. მათ სპიკერისგან ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლების გარანტიაც მიიღეს და რამდენიმე შესრულებული პირობის შემდეგ დიალოგი დასრულებულად გამოაცხადეს.

საპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებით, უმრავლესობასთან შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლო ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ. მოგეხსენებათ, ნინო ბურჯანაძესთან წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა იმიტომ არ შედგა, რომ საბჭომ პარლამენტში კონსულტაციაზე სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად გოგა ხაინდრავა მიავლინა. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ დიალოგი ხელისუფლებას არ სურს. მოლაპარაკების ჩაშლის თავისი ვერსია აქვს უმრავლესობასაც. უმრავლესობის წევრების თქმით, ხელისუფლება რაც უფრო მეტ დათმობებზე მიდის, ოპოზიციის ნაწილი მით უფრო მეტ ულტიმატუმებს აყენებს და ცდილობს მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანოს. ამასვე აცხადებს ნინო ბურჯანაძეც. ჯერჯერობით პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დიალოგი სატელევიზიო ეთერის საშუალებით მიმდინარეობს. ნაკლებსავარაუდოა, რომ 25 ნოემბრამდე მათ შორის რაიმე ტიპის კონსულტაცია გაიმართოს.

**მზია გელენავა.**

◉ რაც თვალს არ გამოეპარა

## „ოქროს ვიყიდი, ოქროს!“

**თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მახარებს „გაინტერნეტებული“ პუშკინის სკვერი თბილისის ცენტრში, მოსასვენებელი სკამებითა და ყვავილნარით გაკოპწიავებული „ზემელი“ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი კეთილმოწყობილი უბანი, სპორტული მოედნები და შადრევნები რომ გაჩნდა ქალაქში, მაგრამ „აქა-იქ“ მაინც გაიგონებთ საყვედურებს:**

...თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავედი, პუშკინის ქუჩაზე უნდა გადავსულიყავი, მაგრამ ძლივს თუ გაისვლებოდა. აქამდე არსებული მაღაზიები მოეხსნათ და ახლა, გაგანია რემონტი მიმდინარეობდა. გვირაბის ბოლოს „შტუჩნი“ სიგარეტების გამყიდველ ქალს მაინც „მოენახა“ ადგილი.

— ქალბატონო, აქ ოქროს შემსყიდველები ისხდნენ...

— მაღლა სხედან, ბატონო!.. დროებით!.. პუშკინის ქუჩაზე!

კიბეები ავიარე. ხუთი თუ ექვსი ქალბატონი კვლავინდებურად იჯდა სავარძელში (!ძ ამჯერად, „მოწოდებებთან“ ერთად, მადლიერებას არ მალავდნენ.

— მაგი დაურჩეს მის ოჯახს!.. კაი კაცია, კაი!.. აბა, წარმოიდგინე ქალო, გარე მოვაჭრეები ყველგან გაყარეს, მაგრამ ჩვენ, აქვე მერიის ცხვირწინ მაინც არხეინად რომ ვგრძნობთ თავს, ეხუმრები?.. გუშინ შემომითვალა, ცოტა ხნით „პუშკინზე“ ადით და მერე ისევ დასხდებითო გვირაბში...

— ოქროს ვიყიდი, ოქროოს!.. — შემომაგება „მორიგე კრიკუნმა“.

— რამდენად იყიდი ოქროს?

— გააჩნია!.. გრამში ოცი-ოცდახუთი ლარი შეიძლება მოგცე!.. რა გაქვს?

— ოქრო!

— აბა, შე კაცო, ჩვენ აქ ჯართს არ ვიბარებთ... თუ კბილის „გვირგვინია“, მეტიც შეიძლება მოგცეთ.

— ზოდი მაქვს!

— ზოდი?

— ჰო, ზოდი!

— გამოიწიე აქეთ!.. — ქალბატონმა ხმას დაუწია, სავარძელში მსხდომებისკენ მზერა გააპარა და განზე გამიხმო.

— რუსულია?

— ვიცი, რო?

— რუსულს სხვა ფასი აქვს, ხომ იცით?.. აქა გაქვთ?

— არა!.. მოვიტან!..

— როდის?

— ხვალ, ან ზეგ!..

— ზეგ მეც აქ ვიქნები... სხვასთან არ მიხვიდე, მოგატყუებენ!.. მე კარგად გადაგიხდი! — გამანდო საიდუმლო.

— აუცილებლად, აბა!.. — ისეთი ტონით ვუთხარი, თითქოს მართლაც „ოქრომრავალი“ ვყოფილიყავი.

— ოქროს ვიყიდი, ოქროს! — თვალი ჩამიკრა და კმაყოფილმა გააგრძელა „მორიგეობა“.

სავარძელში მსხდომნი კი კვლავ აგრძელებდნენ „იმათ საქებარს“, ვინც ამ „საცოდავ“ ქალბატონებს ხელს აფარებდა.

მე კი მივუყვებოდი ქუჩას და იმათზე ვფიქრობდი, ვისაც ქალაქის მერიაში არ ჰყავდათ „კაი კაცები“ და ქუჩაშიც გადაუყარეს „ტავარი“.

აქ კი წმინდა გიორგის ფერხთით, ინტერნეტსკვერთან კვლავინდებურად დუღდა „ოქროს ბაზარი“, ოღონდ ეგ იყო, ვერ გავერკვიე სად და რაზე „ედგათ“ ამ ქალბატონებს სალარო აპარატები, ან ვინ იყვნენ ის „ქველმოქმედები“ ქალაქის მერიაში?

...„ნაშვიდნოემბრალზე“ კვლავ გავიარე პუშკინის ქუჩაზე, — ოქროს „ბარიგები“ ძველებურად „მოღვაწეობდნენ“, ოღონდ თითოეულის პირბადეები მოეხაზირებინათ ყოველშემთხვევისათვის“...

**ზაურ ფიფია**

◉ ინფორმაცია

## ბაღაფში ურჩევს...

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფში გალის რაიონის მოსახლეობას საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისგან თავის შეკავებას ურჩევს. სერგეი ბაღაფში ასევე მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას და მათ მოუწოდებს არ აქციონ გალის რეგიონის მოსახლეობა „პოლიტიკური სპეკულაციის საგნად“.**



**„საქართველოს ხელისუფლება გალის რეგიონის მოსახლეობის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ეცდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავად გალელები არ მისცემენ მათ ამის გაკეთების საშუალებას“, — განაცხადა სერგეი ბაღაფშმა და დასძინა, რომ მას ძალიან კარგად ესმის, რომ გალის რეგიონის მოსახლეობას საქართველოსთან ნათესაური კავშირი გააჩნია.**

**„თუ რომელიმე მათგანი მოინდომებს ზუგდიდის რაიონში გადასვლას და საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, შეუძლია იქვე დარჩეს და უკან არ დაბრუნდეს“, — განაცხადა ბაღაფშმა.**

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა გალის რეგიონის მოსახლეობაზე საუბრისას ასევე განაცხადა, რომ მათთვის აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემა უახლოეს მომავალში დაიწყება.**

## პაატა შამუგია: ბაღაფშის მუქარა გალელებს ვერ შეაშინებს

**გალის რეგიონის მოსახლეობა არ აპირებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის სერგეი ბაღაფშის მუქარას შეუშინდეს და საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილემ პაატა შამუგიამ აცნობა.**

**შამუგია სააგენტოსთან საუბრისას ასევე აცხადებს, რომ გალის რეგიონში დაახლოებით 30-40 ათასი ქართველი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც მასთან საუბრისას ადასტურებენ, რომ ბაღაფშის აკრძალვის მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მაინც მიიღებენ.**

**„გალის რეგიონის ქართულ მოსახლეობას საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ზუგდიდის რაიონში გადმოსვლა მოუწევს. არ გამოვრიცხავ, რომ 5 იანვრისათვის აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ზუგდიდის რაიონში გადმოსვლის ხელის შესაშლელად პროვოკაციებს მიმართოს ან გზები გადაკეტოს“, — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას პაატა შამუგია და დასძენს, რომ სეპარატისტთა ვერავითარი ამკრძალავი ზომები გალის რეგიონის ქართულ მოსახლეობაზე ვერ იმოქმედებს, რადგანაც მათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაჭრით აქვთ გადაწყვეტილი.**

**შეგახსენებთ, რომ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფშმა გალის რეგიონის ქართულ მოსახლეობას საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა და დაემუქრა, რომ ვინც გალიდან ზუგდიდში ხმის მისაცემად გადავა, „შეუძლია იქვე დარჩეს და უკან არ დაბრუნდეს“.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ჰაჰ, დრონი, დრონი

**ხელისუფლების საქმიანობა შევარდნაძემ კი არა, ხალხმა უნდა შეაფასოს და ეს გამოჩნდება ყველაზე უკეთესად არჩევნებში. ჩვენი პრეზიდენტიც ხომ იყრის კენჭს, მისი ოპონენტებიც, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილიც. არიან უფულოები და არიან ფულიანებიც, არიან თანამდებობის პირებიც. ყველაფერს ხალხი გაარჩევს, ხალხი არ შეცდება**



**◎ თემა**

# ედუარდ შევარდნაძე: გადამწყვეტ მომენტში თავი უნდა გაწირო, ფიქრობდე ადამიანებზე, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ და რაღაცით უკმაყოფილონი არიან

***23 ნოემბერს საქართველოში „ვარდების რევოლუციის" ოთხი წლისთავი შესრულდა. ოთხი წელი გავიდა მას შემდეგაც, რაც ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. იმდროინდელი და შემდეგ განვითარებული მოვლენების შეფასებისთვის „ინტერპრესნიუსი" ედურად შევარდნაძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ედუარდ, დღეს „ვარდების რევოლუციისა" და თქვენი გადადგომიდან ოთხი წელი შესრულდა. როგორ შეაფასებდით მაშინ განვითარებულ მოვლენებს?**

— ვფიქრობ, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ, ანუ შევარდნაძემ, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა გარანტია, სისხლი არ დაღვრილიყო. ეს ხომ ნამდვილი ამბოხი იყო. პარლამენტში შემოიჭრა ავტომატებით და პისტოლეტებით შეიარაღებული ხალხი. პირველი სხდომა იყო ახლად არჩეული პარლამენტის და, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი დარბაზიდან გააძევეს.

საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე, რაც ნიშნავდა, რომ მე პრეზიდენტი ჯერ კიდევ ვიყავი და მთავარსარდალიც გახლდით. არმია ჩემს განკარგულებას ასრულებდა. რა თქმა უნდა, არმია და ეს ამბოხებულები ერთმანეთს შეეჯახებოდნენ, არმია გაიმარჯვებდა, მაგრამ დიდი სისხლი დაიღვრებოდა.

მე რომ არ გადავმდგარიყავი, სისხლის დაღვრა იქნებოდა გარდუვალი, სამოქალაქო ომიც გაჩაღდებოდა. არავითარი საფრთხე კომუნიზმში დაბრუნებისა არ არსებობდა, რადგან ყველა ძირითადი რეფორმა, რომელიც შემდგომ განახორციელეს, ჩემს დროს დაიწყო. ეს იყო მიწის რეფორმა, კონსტიტუციის შემუშავება, პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტი შექმნა, სასამართლო რეფორმა, სამედიცინო რეფორმა, ყველა შემდგომ მიღებულ რეფორმას საფუძველი 1995 წელს ჩაეყარა, როდესაც კონსტიტუცია მივიღეთ.

მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ჩვენ კომუნიზმში არ დავბრუნდებით და ვერ დაგვაბრუნებენო, ვინ თხოვს? ვის აშინებს? ან რა საფრთხეა იმისა, რომ კომუნიზმში შეიძლება დავბრუნდეთ? საქართველო კომუნიზმში რომ არ დაბრუნდება, ეს ყველა განათლებულმა და გაუნათლებელმა ადამიანმა იცის. რას აშინებენ, როგორ არ რცხვენიათ, უმაღლესის დამთავრება არ ნიშნავს იმას, რომ შენ პოლიტიკოსი ხარ.

**— მაშინდელ თქვენს თანამებრძოლთაგან ვისზე გწყდებათ გული?**

— ყველაზე მეტად გული მწყდებოდა ავთანდილ ჯორბენაძეზე, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი საფუძველი, ჩემთვის ეღალატა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ავთანდილ ჯორბენაძე გადავიდა ჩემი მოწინააღმდეგის მხარეს.

ადამიანის მოქმედებაში უნდა გაარჩიო ცუდიც და კარგიც, არც კარგი უნდა დაუკარგო, როცა ცუდზე ლაპარაკობ. ჯორბენაძეს არ დავუკარგავ იმას, რომ იგი ჩემთან ერთად იბრძოდა აფხაზეთში და გვერდიდან არ მომცილებია. პირველი რეფორმა, რომელიც ერთად ჩავატარეთ მისი ინიციატივით, ეს იყო სამედიცინო რეფორმა. მერე მოხდა ისე, რომ სხვებმა გადაიბირეს, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ ურტყეს ქუჩაში 7 ნოემბერს. ძალიან მეწყინა, რადგან ამის ღირსი არ იყო, მას უფრო მეტი სიკეთე აქვს გაკეთებული, ვიდრე ჩემს მიმართ ჩადენილი ღალატია.

**— ბატონო ედუარდ, შესაძლოა, ჯორბენაძეზე მეტად, მაშინ გადამწყვეტი როლის შესრულება ძლოვანი უწყებების ხელმძღვანელებს შეეძლოთ. მათ მიმართ ხომ არ გაქვთ რაიმე პრეტენზია?**

— შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი იყო. უბედურება ის არის, რომ მან პოლიცია მთლიანად ვერ დაიმორჩილა და პარლამენტში შემოჭრილი ხალხი ვერ შეაჩერა. როგორც პიროვნება, მიმაჩნია, რომ იგი უღალატო კაცი იყო, დანარჩენების გარჩევას ცოტა დიდი დრო უნდა.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას ოთხი წლის განმავლობაში?**

— ხელისუფლების საქმიანობა შევარდნაძემ კი არა, ხალხმა უნდა შეაფასოს და ეს გამოჩნდება ყველაზე უკეთესად არჩევნებში. ჩვენი პრეზიდენტიც ხომ იყრის კენჭს, მისი ოპონენტებიც, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილიც. არიან უფულოები და არიან ფულიანებიც, არიან თანამდებობის პირებიც. ყველაფერს ხალხი გაარჩევს, ხალხი არ შეცდება.

**— საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებზე რას იტყოდით?**

— ძალიან ძნელი სათქმელია. მე ერთი ვთქვი და დავწერე — 2 ნოემბრის გამოსვლები რომ დაიწყო და 100 ათასი კაცი შეიკრიბა, პრეზიდენტი და ქალბატონი ბურჯანაძე მათ იმის ნახევარსაც რომ დაპირებოდნენ, რასაც ახლა ჰპირდებიან, ხალხი დაიშლებოდა.

ეს არ იყო ოპოზიციის მიერ გამოყვანილი ხალხი. ოპოზიცია მათ მერე ჩაუდგა სათავეში, როდესაც ხალხი გამოვიდა ქუჩაში გამწარებული შიმშილისგან, უმუშევრობისგან და უპენსიობისგან.

პოლიტიკოსის გზას როდესაც ადგები, უნდა გქონდეს გამბედაობა, რომ თავიც გაწირო თუ საჭიროა. რა თქმა უნდა, თუ პრეზიდენტი ჩავიდოდა ხალხთან, მოსალოდნელი იყო, დაესტვინათ, ეყვირათ ან არ დაეჯერებინათ, მაგრამ როდესაც თავის სათქმელს იტყოდა და გამოქვეყნდებოდა ის, რასაც ხალხს იგი დაპირდებოდა, დარწმუნებული ვარ, მომიტინგეები დაიშლებოდნენ ან ნაკლებად აგრესიულები იქნებოდნენ.

თავგანწირვის უნარი, ეს უნდა იყოს უპირველესი თვისება პოლიტიკოსისთვის. ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსს რომ ართმევდნენ, მე გავწირე მაშინ საკუთარი თავი. 100 პროცენტით გარწმუნებთ, რომ ყველაფრისთვის, მათ შორის დაპატიმრებისთვისაც, მზად ვიყავი. მოსკოვის წინააღმდეგ წავედი.

მე არ ვამბობ, რომ არ მქონია შეცდომა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თავი უნდა გაწირო, შენს თავზე კი არ უნდა ფიქრობდე, უნდა ფიქრობდე ხალხზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ და რაღაცით უკმაყოფილონი არიან.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი"**

**◎ არის ასეთი აზრიც**

# უნდა გაგვზრდოდათ თუ არა?..



***ძველად, როდესაც ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა, ავანტიურისტებმა ხუდონჰესის მშენებლობა შეაჩერეს და ძვირადღირებული მოწყობილობა-დანადგარები მდინარე ენგურში გადაყარეს, ჰიდრომშენებელთა ერთ ჯგუფს გვინდოდა თხოვნა-საჩივრით მიგვემართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთვის. თხოვნა-საჩივარი საბოლოოდ არ დაიწერა, რადგან მეცნიერებათა აკადემიის ბევრი წევრი თვითონ იყო კატეგორიული წინააღმდეგი არა მარტო ხუდონჰესის, არამედ, საერთოდ, ჰესების მშენებლობისა.***

მას შემდეგ, მოვლენების ასეთ განვითარებას ქვეყნის ენერგომომარაგებაში ჰიდრომშენებლებიც ვერ წარმოვიდგენდით. ვერ წარმოვიდგინა თუ ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდოდნენ ადამიანები, რომლებიც ქვეყნის ელექტრო ენერგიით მომარაგებას დაანგრევდნენ, ძველი ჰესების გაჩერებით, ხელოვნურად შეუქმნიდნენ ელექტროენერგიაზე მწვავე დეფიციტს, ტარიფს მაქსიმალურად მაღლა ასწევდნენ და ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს ქურდული წესით გაანაწილებდნენ.

ჩვენ ახლაც არ ვიცით, მეცნიერებათა აკადემიის წევრები როგორ აფასებენ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, მათი მხრიდან რაიმე განცხადების მსგავსი არც დღეს ისმის.

ვინ მოსთხოვს კომპეტენტური განცხადების გაკეთებას ბიზანტიოლოგებს? ირანისტებს? საქართველოს ისტორიის ახლებურად გამომცემლებს და სხვებს? მაგრამ ხომ არიან მეცნიერებათა აკადემიაში ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლები, ეკონომისტები, ან რა კომპეტენცია სჭირდება ელემენტალური ფაქტის ანალიზს — რის საფუძველზე მოსთხოვა პროკურატურამ 150 მლნ ლარის მოტანა ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ჩინოსანს. ან როდესაც ბატონი პრეზიდენტი აცხადებს, ჩვენ არ გვაქვს ნავთობიო, ვინ, თუ არა მეცნიერებმა, უნდა გაახსენონ ბატონ პრეზიდენტს, რომ ნავთობს ძველად ერქვა „შავი ოქრო", ხოლო ჰიდრორესურსებს „თეთრი ოქრო", რომ „შავ ოქროსაც" ისე გამოიყენებდა მისი აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც იყენებს „თეთრ ოქროს".

როდესაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგში (ელექტროენერგიით ქვეყნის მომარაგებაში) ასეთი მდგომარეობა მივიღეთ, ჩვეულებრივი მოკვდავების ერთი ჯგუფი ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანაში არის მეცნიერებათა აკადემია. უფრო მეტიც, გადასახადების ძალიან ბევრ გადამხდელთან ერთად, სინანულს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს მიერ გადახდილი ფულადი სახსრები ხმარდება მეცნიერებათა აკადემიის წევრების ხელფასის მომატებას.

ჩვენ ძალიან გვიმძიმს ასეთი წერილის გამოქვეყნება, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას.

**ნუგზარ კობახიძე,**
**ჰიდრომშენებელი**

**◎ ინფორმაცია**

## რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები — 2008 წლის 2 მარტს

**რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 2 მარტს დაინიშნა. ამის შესახებ გადაწყვეტილება ფედერალურმა საბჭომ გუშინ გამართულ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო.**

**საპრეზიდენტო არჩევნების 2 მარტს დანიშვნის გადაწყვეტილებას მხარი 133 სენატორმა ერთსულოვნად დაუჭირა.**

**რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში „როსიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნების შემდეგ შევა.**

**სულ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა 5,2 მილიარდი რუსული რუბლი გამოყო, თანხა მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.**

**რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ამ ეტაპისთვის რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა, იაბლოკოს ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ, „ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, დისიდენტმა ვლადიმერ ბუკოვსკიმ, რუსეთის ცენტრალური ბანკის ექს-მეთაურმა ვიქტორ გერაშჩენკომ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა, „გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის" ლიდერმა გარი კასპაროვმა, „მემარჯვენე ძალთა ლიდერმა" ბორის ნემცოვმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ნიკოლაი კურიანოვიჩმა გამოთქვა.**

ჯი-ეიჩ-ენი

# ბაგრატი 2007

გიორგობისთვე



◉ მესამე გზა

*ამ გაზეთს წელიწადში ერთხელ — გიორგობა დღეს მიიღებთ...*

*რეზო ჭეიშვილს, ჩვენს გამოჩენილ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ოცგვერდიანი გაზეთი გამოუცია — „ბაგრატი–2007“. სათაურს ქვემოთ კი მიუწერია — „ჩემი გაზეთი — რეზო ჭეიშვილი“. „გამოვა წელიწადში ერთხელ“. დიდი ქართველი პროზაიკოსის უბადო ირონიაა სტრიქონში — ადრე სცემდა „მოწამეთას“და უსახსრობის გამო დაიხურა, მერე „მწერლური ცხოვრება“ გამოსცა და ამ გაზეთმაც უსახსრობას ვერ გაუძლო. წლიდან წლამდე, გიორგობიდან გიორგობამდე, ერთ-ორ ლარს როგორ ვერ შევაგროვებ და, ყოველწლიურ გაზეთს, მაინც გამოვცემო, გაჯიუტებულა ბატონი რეზო და ამ ოცგვერდიან გაზეთში თავისი მრავალი სათქმელი ჩაუტევია.*

*— მთავარი კი ამ საფიქრალ-სათქმელში ჩემი თეორიის კიდევ ერთხელ შეგხსენებაა ქართველი საზოგადოებრიობისადმი, — მეუბნება იგი.*

*— მაინც, რა თეორიაა?*

*— რომ, არსებობს მესამე გზა, რამაც აფხაზეთი ჩვენსკენ უნდა შემოაბრუნოს. ამ საკითხზე, თუ გახსოვთ, ჩემი წიგნიც გამოვიდა — „მესამე გზა“, სადაც ვწერდი, რომ აფხაზეთის პრობლემას აფხაზთა და ქართველთა სამეფოს აღდგენა თუ გადაწყვეტს, რომ აუცილებელია ბაგრატის ტაძრის აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის სასიკეთოდ გადაწყვეტას.*

*გაზეთში „ბაგრატი-2007“ სხვა საინტერესო თემებიცაა. მათში მკითხველი კვლავაც მოიხიბლება საყვარელი მწერლის ნიჭის სიკისკასით. აი, თუნდაც, მეოცე გვერდზე დაბეჭდილი —„ამხანაგები“, რომელიც სიამოვნებით გადმოვბეჭდეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.*

*ვილენ მარდალეიშვილი.*

## რეზო ჭეიშვილი

# ამხანაგები

ერთმა მხატვარმა კაცმა ქუთაისში, ქვრივმა, ობლების მამამ, ქვრივი ქალი შეირთო შვილებიანი. შეერთდნენ და სამი შვილი ეყოლათ ზიარი. აიძრა ცხოვრება, ბავშვები წამოიჩიტნენ, ერთ მშვენიერ დღეს წაკინკლავდნენ უმიზეზოდ და დაცხეს კიდეც ერთმანეთს. ამის შემხედვარე მხატვარმა გაზეთი დაკეცა და აივნიდან შესძახა ცოლს:

— ქალო, გამოდი გარეთ, ჩვენი შვილები, გონია, ჩვენ შვილებს ურტყამენ!

2007 წლის 28 სექტემბერს, ჯვართამაღლების მეორე დღეს, სააკაშვილისა და ოქრუაშვილის ამხანაგები წაიკიდნენ. ერთი დღე და ღამე ტელევიზიის ყველა არხის საშუალებით ოქრუაშვილის ამხანაგები აგინებდნენ სააკაშვილისა და ოქრუაშვილის ამხანაგებს და სააკაშვილისა და ოქრუაშვილის ამხანაგები დასცინოდნენ ოქრუაშვილისა და სააკაშვილის ამხანაგებს. ერთმა მოკამათემ პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არც აცივა, არც აცხელა, დასააკაშვილისა და ოქრუაშვილის უპირველეს ამხანაგს ბატონ ბენდუქიძეს, რომელსაც მე, რასაკვირველია, დაუსწრებლად, სოვდაგარს ვეძახი, ბაზრის დედაკაცი უწოდა, რაც არასწორი მგონია.

რას ერჩი, ყმაწვილო, დედაკაცებს? იქნებ ზიარი ამხანაგები გეხსენებინა, რომლებმაც ქართველი ქალები „ბაზრის დედაკაცებად“ გადააქციეს, ვინც ვერ გადააქციეს გააქციეს და გადახვეწეს, ახლო და შორეულ საზღვარგარეთ. ბებიები, დედები, ცოლები, ქალიშვილები, ოჯახებიც წავიდნენ უცხო ქვეყნებში მომვლელებად, დამლაგებლად, მრეცხავებად, მეწვრილმანე ვაჭრებად, გადამყიდველებად, საეჭვო სახლების მსახურებად, მოსამსახურეებად და მონებად. მძიმე შრომით უგზავნიან გროშებს კაცებს, მამებს, ქმრებს, შვილებს, სამსახურ და თავმოყვარეობადაკარგულ ნათესავებსაც... ინგრევა ოჯახი, რაზეც იყო და არის კიდევ საქართველო დაფუძნებული; იყიდება ქვეყნის მიწა-წყალი, ხელში

უვარდებათ უცხოელებს. ერთი ხელისგულისოდენა ჩვენი სამშობლო, სადაც უცხო „მოძმე“ ერისშვილები მრავლდებიან, ჩვენ ვემცრობით, ვცოტავდებით და ყურს არ ვაპარტყუნებთ. ხალხი შიმშილობს, პრეზიდენტი ეკონომიკის აღმასვლაზე გველაპარაკება, ჩვენს გადაშენებას დემოკრატიის უზენაესობას მიაწერს. კაცი საკუთარ ვენახს ჩეხავს კახეთში, ვხედავთ და ღვინისა და ყურძნის ზეიმიაო, გვიმტკიცებს. დედა-კაცები, კაცებიც ისინი არიან დღეს და ქალებიც, გამათხოვრებულ, შრომისუნარიან მამაკაცებს არჩენენ. ჩვენ თინეიჯერების ცეკვა-სიმღერა გვაქვს გაჩაღებული შადრევნებისა და ეშმაკის ბორბლების ფონზე! თქვენ თქვენს ამხანაგებს (ბრალდებები ორმხრივიაძ ქურდობაში და კაცის კვლაში ადანაშაულებთ. სახლებს, საცხოვრებელ სახლებს რატომ უნგრევთ მოქალაქეებსო, მე მეკითხებით?! თქვენ კადრულობთო იმას, რაც კომუნისტებს, კერძო საკუთრებასთან მებრძოლ კომუნისტებსაც, არ უკადრებიათ. უკანონობას აკანონებთ და ამტკიცებთ, რაც თქვენია, თქვენი არააო. შენ ის მოკალი, იმან ის მოკლა, დაიჭირა ის და არა ეს. პიროვნული ბრალდებები, ვიწრო პარტიული ინტერესები და ისევ: იმან მოიპარა, ქრთამი აიღო, იმან შეჭამა, იმას არ შეუჭამია. კაცის კვლა, კონკრეტული პირის ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის მცდელობაც კი ტრაგედიაა, მაგრამ ერის კვლომის პროცესის ყურება უბედურებაა, მხოლოდ არასტიქიური.

ვინ არი დამნაშავეო, კითხულობთ ისევ? ვინ არი და თქვენ, შენ და შენ, მე და ის! მე და ოტია იოსელიანმა არ დავულოცეთ საპრეზიდენტოგზა გელათის წმიდათაწმიდა მიწაზე, მუხრან მაჭავარიანმა არ წარადგინა სცენიდან (ფორმალურადძ პრეზიდენტად?! შევცდიო, აღიარა მოგვიანებით. არავინ არ შემცდარა, გვეგონა. რას ვიფიქრებდით, ქართველი ხალხის, ქართული ეროვნული ეკლესიის (ვიცი, რასაც ვამბობძ მოძულენი და კაცისმკვლელები თუ ამოუდგებოდნენ გვერდით. ხალხმა აირჩია გაუსჯელად, მექანიკურად და მიგვაყოლა სხვები, როგორც ხდება, როგორც ვიცით, როგორც გვგონია! მთავარია პირველი და სხვა რა, სხვას რა მნიშვნელი აქვსო?! ერთ კაცს ვირჩევთ, ერთ კაცს ვაგინებთ, ერთ კაცს ვანარცხებთ მიწაზე, ვაქებთ და ვადიდებთ ერთს და არ ვამოწმებთ. დავით ალმაშენებლის საფლავზე ვადებინებთ ფიცს კაცს, რომელიც ამას არ იმსახურებს! ალმაშენებელი კი ფეხებზე ჰკიდია თურმე ამხანაგებს. თქვენ არ გაათრიეთ ჯართივით დავით ალმაშენებელი?! ამოიღეთ ხმა რომელიმემ?! დააპირეს და აპირებენ ნაციონალური უბედურების წევრები და დავითის ცხენის ჩონჩორიკის ალაგას ვარდის ძეგლის, მასონური სიმბოლოს, დადგმას. ბავშვებს სასახლეს ართმევთ, იმ სასახლეს, სადაც 1918 წელს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სადაც მრავალი საუკუნის შემდეგ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა — ისტორიის ორომტრიალით, ბედით თუ ბედის ირონიით, ხონჩით თუ გოზით მოიპოვა და აღსრულდა! ამ დიად მოვლენას საქართველო რამდენიმე საუკუნე ელოდა და თქვენ ის ბავშვებისა და თავისუფლების შენობა სატანცაო ადგილი გგონიათ და საქართველოს დამოუკიდებლობას თქვენით იწყებთ (9 აპრილითა და ვარდების „რევოლუციით“ძ და თქვენით ამთავრებთ?!

ქართველ მწერალთა სახლი დღეს დალუქულია, კარები დაგმანულია, მწერლები თუ მწერლობის მოყვარულები გამოყრილი. კომპოზიტორთა სახლი ბორჯომში გაყიდულია, ეკლესია დანგრეულია, ჯვრები გადაყირავებულია!... ღორის ჭირიც ხომ თქვენ მოიტანეთ, არა? რაღა ჩვენთან გაჩნდა და გაქრა. რუსმა გაგიწყვიტა (ნამუსის ძარღვზე არ გეკითხებითძ ღორები? რუსს ღორი უყვარს! ჩვენ გავწყვიტეთ მუსულმანი ინვესტორების გულისმოსაგებად: ჩვენ გავწყვიტეთ, ჩვენ დავანგრიეთ, ჩვენ დავაყირავეთ! კეთდებაო, კეთდება კი. მაგასაც ვხედავთ, კეთდება საცივი, გოზინაყი, სარეკორდოდ, გინესების წიგნში შესატანად. კეთდება გზებიც, ფანტანები (არა შადრევნებიძ, ეშმაკის ბორბლები, პატრული, ჯარი, სხვაც... **ის მიკვირს, რაც არის და არა ის, რაც არ არის — კეთდება ის, რის გაკეთებაც შეიძლება და ინგრევა ის, რისი დანგრევაც არაფრით არ შეიძლება. ინგრევა საქართველო, ქართული სული, ქართული გენი, ჯიში, ჯილაგი, ტრადიცია და ოჯახი, საფუძველთა საფუძველი ჩვენი არსობისა!**

და ბოლოს:

ის მხატვარი, სინამდვილეში მოქანდაკე, მონადირეც იყო და სანადირო თოფის ორ ლულაში მრავლად დახვეული ფული ჩატენა, ჰონორარი ჰქონდა აღებული და თანხა შავი დღისათვის გადამალა, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, — გადაავიწყდა; შემოვიდა ახალი წელი, გამოიტანა ორლულიანი, გადახედა იაკობ ნიკოლაძის ეზოს, ნიკო ნიკოლაძის ყოფილ სამოსახლოს და ზუზღა დუპლეტი, გაუშვა ჩასუდრულ-შეციებულ ჰაერში ორპირულიდან დამწვარდახრუკული საბჭოთა ასმანეთიანები.

ჩამოდგება მომავალი (2008ძ ახალი წელი სულ მალე და ვნახავთ, რას გამოისვრით. ორპირული არ დაგავიწყდეთ!

*P. S. ერთ ქარხანას ქუთაისში ამერიკის (აშშძ ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლობითი დელეგაცია ესტუმრა. პირველმა შეხვედრამ, როგორც ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენელმა აღნიშნა, გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა. მეორე დღეს ქარხნის დირექტორმა დელეგაცია, ქალი და კაცი, აგარაკზე დაპატიჟა. მასპინძელმა პირველი სადღეგრძელო, რომლის უკან სიურპრიზი ჰქონდა გადანახული, ასე წარმოსთქვა: ... თქვენ ახლა იმყოფებით სათაფლიის ცნობილი ნაკრძალის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ ბანოჯაში, სადაც (პაუზაძ... დაიბადა დიდი ბალეტმეისტერი, ამერიკის სიამაყე ჯორჯ ბალანჩინი!*

*არავითარი რეაქცია. ვინააო ბალანჩინი, ერთმანეთს გადახედეს ამერიკის წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრებმა — ქალმა და კაცმა.*

*ერთმა განაცხადა, ლუკმა რომ გადაყლაპა, სამწუხაროდ, ჯგუფში ჩვენ ბალეტის სპეციალისტი არა გვყავსო. არ ჰყავდათ (?!ძ.*

*ერთი ადგილიც (თავმდაბლობაში არ ჩამომართვათძ საკუთარი შემოქმედებიდან:*

*ამერიკაში (აშშძ გააჩერებ თურმე ახალგაზრდას. კოლეჯის ზედაკლასელს ან სტუდენტს და შეეკითხები:*

*— ტომ სოიერის თავგადასავალი თუ გაქვთ წაკითხული?*

*არა აქვთ (ყველას არ ეხება, ცხადიაძ, მარკ ტვენი თუ გაგიგონიათ?*

*— არა.*

*მწერალი მარკ ტვენი (სემიულ კლემენზიძ, რომლის დაბადება-გარდაცვალების თარიღები (1835-1910ძ დაემთხვა კომეტა ჰალეას (კუდიანი ვარსკვლავიძ ორგზის მობრძანებას, არ გაუგიათ. არ იციან. რატომ? მარკ ტვენი დიდია და დღევანდელი ამერიკა (აშშძ — პატარა, — ამიტომ!*

*ვერ წარმოვიდგენდი, ვერც ვიფიქრებდი წიგნის გარდაცვალების პროცესს თუ შევესწრებოდი?! სწორედ ამერიკიდან, ევროპის გავლით, შემოვიდა ათაშანგივით ეს ბაცილა. გლობალური მოვლენაა ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული, იგი დროს მოჰყვა და არა მხოლოდ უწიგნურ ხელისუფლებას, რომელმაც ეს პროცესი დააჩქარა. მობრუნდება თუ არა წიგნის დრო. აუცილებლად, მხოლოდ როდის (?!ძ ჩემი და მომდევნო ბარეორი თაობა ამას, სამწუხაროდ, ვერ მოესწრება. ნეტარია, — ვინც ვერ მოესწრო, ბედნიერი იქნება ის, ვინც მოესწრება!*

*ახლა ვნახოთ, თუ გნებავთ გავიხსენოთ, რა წერია „კომუნისტურ მანიფესტში:“*

*... მსოფლიო ბაზრის ექსპლოატაციის გზით ბურჟუაზია კოსმოპოლიტური გახდა, ქვეყნის წარმოებამ და მოხმარებამ, რეაქციონერთა დიდად სამწუხაროდ, მრეწველობას ეროვნული ნიადაგი გამოაცალა:*

*... ეროვნული ცალმხრიობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება და მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთი მსოფლიო ლიტერატურა იქმნება!*

*... ეროვნული ცალმხრიობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება და მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთი მსოფლიო ლიტერატურა იქმნება!*

*მარქსი, ენგელსი, 1848 წ.*

*ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლამ სხვა ფორმა და შინაარსი (უფრო საშიში და ვერაგიძ შეიძინა, იგი ხანგრძლივ დროზე გაითვალა და გლობალიზაცია დაირქვა, ამერიკა (აშშძ გახდა ამ იდეოლოგიის მედროშე არა ფილოსოფიური საფანელით, არამედ ფულით, რწმენით. სჯერათ, სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ! „მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურა“ კი, ერთ „მსოფლიო ლიტერატურად“ დღემდე, მარქსისა და ენგელსის სამწუხაროდ, არ გარდაქმნილა. პირიქით, იმ მანიფესტის გამოქვეყნებისა და გავრცელების შემდეგ სწორად ეროვნულ ნიადაგზე, შეიქმნა უზარმაზარი ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული ლიტერატურა ევროპაში, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვა დრო იყო!*

*კომუნისტებმაც, პროლეტარული დიქტატურისა და რეპრესიების დროსაც, მთლიანად არ გაიზიარეს ერთი ერის, ერთი ენის, ერთი საბნის კომუნისტური თეორია, წამოაყენეს რა თეზა... შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა! მწერლობა და სხვა. დღეს ამერიკას (აშშძ ეროვნული არ ესმის, აქ, ჩვენთან, ამ სიტყვის გაგონება არ სურთ და რას ნიშნავს ნაციონალური, გარდა პირადი და საზოგადოებრივი საკუთრების ნაციონალიზაციისა, რომელსაც წარმატებით ახორციელებენ, დღემდე ვერ გამირკვევია.*

*დაპყრობილი, დაშლილ-დანაწევრებული ქვეყანა ჩვენი ჯერ იდეაში, შეგნებაში გააერთიანეს, რეალურად გაამთლიანეს დიდმა მწერლებმა... ილიამ, აკაკიმ და სხვებმა რუსთმმართველობაშივე. ქართულმა სიტყვამ, ქართულმა წიგნმა გადაარჩინა გადაგვარებას, გადარუსებას და გადარჯულებას ქართველი ხალხი. ილიამ, აკაკიმ და მათი მსოფლმხედველობის მოზიარე დიდმა კაცებმა ჩამოაყალიბეს ზოგადსაკაცობრიო წესრიგში ჩაწერილი ქართული ცნობიერება და აზროვნება: ენა, მამული და სარწმუნოება გვასულდგმულებს დღემდე და ამიტომაა, რომ უტრიალებენ ილიასა და აკაკის ძეგლს ნაციონალები, სად წავიღოთ: სად გადავაგდოთო, მსჯელობენ, ეჭვიც არ მეპარება!*

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

**თბილისის მარკეტებსა და სუპერმარკეტებში რა „ჯურის“, ფერისა და გემოს პურს აღარ შეხვდებით, აი „დედას პურს“ კი, სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად გადაეყრებით**



## ◎ ინფორმაცია

### განაცხადები უკვე შეიტანეს

**ცესკო-ში განაცხადები უკვე შეიტანეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლებმა. ამასთან, ცესკო-ში შესულია „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლის განაცხადიც. შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელმა, გიორგი გუგავამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გუშინ მიმართა.**

**პრეზიდენტობის კანდიდატებმა ათი დღის განმავლობაში ცესკო-ში 50 ათასი მხარდამჭერის სია უნდა წარადგინონ. თუ ცესკო-ს შემოწმების შედეგად არანაირი დარღვევა არ იქნება დადასტურებული, ისინი ოფიციალურ კანდიდატებად დარეგისტრირდებიან.**



### ცესკო-ში ბადრი პატარკაციშვილის კანდიდატურა წარადგინეს

**ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის განაცხადი საპარლამენტო ფრაქცია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერმა, ვალერი გელბახიანმა და გოგა ჟვანიამ შეიტანეს.**



**„ჩვენ ცესკო-ში წარმოვადგინეთ საპრეზიდენტო კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის განაცხადი. აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ დავიწყებთ მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებას. განაცხადს თან ერთვის ბატონი ბადრის წერილობითი დასტური საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ“, — განაცხადა ვალერი გელბახიანმა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ რით ვიკვებებით?

# „დედას პური“ მოგვენატრა

## რა იმალება ხშირად პურის სარეკლამო ფურცლებზე აღბეჭდილის უკან?

***მერედა, როგორ მოგვენატრა. თბილისის მარკეტებსა და სუპერმარკეტებში რა „ჯურის“, ფერისა და გემოს პურს აღარ შეხვდებით, აი „დედას პურს“ კი, სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად გადაეყრებით. ქალაქს ვინ ჩივის, ამ უჭეშო და უფიჩხო ქვეყანაში ასეთ პურს სოფელშიც თითქმის აღარავინ აცხობს. იშვიათად თუ ვინმე ჩააკრავს თონეში შოთსა და ლავაშს და იმასაც იმიტომ, რომ ქალაქიდან წვეულ შვილებსა და შვილიშვილებს ნანატრი სურვილი აუსრულოს.***

ამას წინათ ერთ-ერთ მარკეტში ასეთი სურათის მომსწრე გავხდი. ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც თან მცირეწლოვანი გოგონა ახლდა, გამყიდველს სხვა პროდუქტებთან ერთად „ქვის პურიც“ გამოართვა, ფრთხილად გაახვია ცელოფანის პარკში და ის იყო გამობრუნება დააპირა, რომ ბავშვი აუტირდა:

— დედი, არ მინდა „ქვის პური“,არა!

— აბა რა გინდა შვილო, — დაუყვავა ქალმა, — ლავაში გიყიდო?

— არც ლავაში მიყვარს, „დედას პური“ მინდაა!

— თქვენ მაგ ბავშვის დედა ბრძანდებით? — ჰკითხა უცნობმა მამაკაცმა შვილმტირალს.

— დიახ, რა თქმა უნდა.

— ჰოდა, შინ რომ მიხვალთ, გამოუცხეთ ქალბატონო პური და გაჩუმდება.

— ამას ჩემი კი არა, დედაჩემის გამომცხვარი უნდა, — სერიოზულად მიიღო ქალმა უცნობის რჩევა, — ამ ზაფხულს ისე მიეჩვია „დედას პურს“, ყველა დანარჩენი უგემურად ეჩვენება.

ეჩვენება კი არა, ნამდვილად ასეა, გავიფიქრე ჩემთვის და გადავწყვიტე პურის სიგემრიელეხარისხთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე ამ საქმის სპეციალისტს გავსაუბრებოდი. ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ისევ ამ ჩვენს ძველ მეგობარს — მალხაზ დოლიძეს არ მივადექი? ისე, კაცმა რომ თქვას, ამაზე უკეთესს ვის ვნახავდი, როგორც იტყვიან, მას ჭიპი პურის ცხობაში აქვს მოჭრილი, ამ საქმის პრაქტიკოსიც არის, მეცნიერიც და მწიგნობარიც (სულ ახლახან კვების პროდუქტებს მშვენიერი ნაშრომი უძღვნა).

**— ბატონო მალხაზ, — ვეუბნები, — მოდით დღეს პურის ფასზე ნულარაფერს ვიტყვით, იგი ისეთი სისწრაფით გარბის, რომ მალე ალბათ პრეზიდენტის თვითმფრინავითაც ველარ დავეწევით. გასაგებია, ხორბლისა და ფქვილის ფასმა მთელ მსოფლიოში მოიმატა, მაგრამ საინტერესოა, როგორ დამოკიდებულებაშია ამასთან თავად პურის წინა და გაფუების ხარისხი? იყო პერიოდი, როცა ხაბაზები პურს ფასს წონის კლების ხარჯზე უმატებდნენ და პროდუქტს ეს აშკარად რომ არ შეეტყობოდა, ზომაზე მეტად აფუებდნენ. ახლა ბევრი ჩვენი მეპურე აღარც ფასის მატებას ერიდება და აღარც ფუებისას. თქვენ როგორც გამოცდილი სპეციალისტი და თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ საფუარით ზედმეტად „გალიპული“ პური ადამიანთა ჯანმრთელობისთვის საზიანოა?**

— რა თქმა უნდა, ზედმეტი არაფერივარგა, მათ შორის არც საფუარი. ნებისმიერი პურის გამოსაცხობად საჭიროა შევქმნათ „სათანადო გარემო“, საიდანაც აღმოცენდება ცომი, მარტივად რომ ვთქვათ, „დედა“, რომელიც სტიმულს აძლევს ცომის გუნდის გაფუებას. მეცნიერთა მტკიცებით, ერთ გრამ საფუარში 10 მილიარდი უჯრედია,რომელიც ხელს უწყობს ცომის ამწევი ძალის, სინესტისა და სიმჟავის, პურის გულის სტრუქტურის ჩამოყალიბებას, იმ მეპურის ხელში, რომელსაც ეს ყველაფერი კარგად არა აქვს გათვითცნობიერებული, შეიძლება საფუარმა ადამიანის სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოუტანოს.

**— განა ასეთი მეპურეებიც არიან?**

— რამდენიც გნებავთ. ისევე როგორც სხვა დარგებში, ჩვენს სფეროშიც ბლომად არიან დილეტანტი ხაბაზები, რომელთა ხელში საქარხნო (ბიოლოგიური) საფუარი, არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ჯანმრთელობისთვის საშიშ კომპონენტად იქცეს. დადგენილია, რომ მომატებული საფუარი იწვევს გულის ძმარვას და აღიზიანებს კუჭის ლორწოვანს.

**— ბატონო მალხაზ, თქვენ ახსენეთ პურის „დედა“, რომელიც გამოიყენება ცომის გასაფუებლად. ხომ არ განმარტავდით, რა კავშირშია ასეთი „დედა“ ჩვენთვის კარგად ცნობილ „დედას პურთან“, რომელიც საქართველოში ლამის რელიკვიად იქცა?**

— დიახ, ყოველ ჩვენგანს უგემნია „დედას პური“, რომელიც სხვებისგან განსხვავებით საოცარი სურნელითა და არაჩვეულებრივი გემოთი გამოირჩევა. იგი სასიამოვნო საგემოვნო თვისებებთან ერთად ხასიათდება მაღალი კალორიულობითა და ნატურალობით, მით უმეტეს თუ ის შეშაზეა გამომცხვარი.

**— ბევრი ფიქრობს, „დედას პურს“ იმიტომ ეძახიან, რომ მას დედა აცხობს. სწორია ასეთი განმარტება?**

— არა, რა თქმა უნდა „დედას პური“ შეიძლება მამამაც გამოაცხოს, მაგრამ მას „მამას პურს“ არავინ დაუძახებს. ასეთი სახელი იმიტომ დაერქვა, რომ მისი ცხობისას საფუარად იყენებენ „დედას“, ანუ ნატურალურ დამამჟავებელს — მაწვნის დოს, თავად დამჟავებულ ცომს („ხაშს“), ზოგიერთ რძის შრატს, რომელიც აგროვებს სიმჟავეს და შემდგომ კლასიკური ტექნოლოგიით (თვითდინებით) იზილება დანარჩენ ცომთან, რაც რამდენიმე საათს გრძელდება.

**— მაგრამ დღეს რატომ აღარ იყენებენ ტექნოლოგიას?**

— იმიტომ, რომ თანამედროვე პრესის ქარხნებსა და საცხობებში მისი გამოყენება გაცილებით შრომატევადია და ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომაც უმეტესწილად გამოიყენება საქარხნო ბიოლოგიური საფუარი და სხვადასხვა დანამატები, რომლებიც ბოლო პერიოდში ფართოდ ინერგება პურის ცხობაში სხვადასხვა გამაუმჯობესებლების სახით.

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, სწორედ ამ ეგრეთ წოდებული გამაუმჯობესებლების წყალობით, ბატონო მალხაზ, ზოგი ჩვენი მეწარმე პურს ფერს უცვლის (თეთრს რუხად ან შავად მოგაჩვენებს), ზოგი — გემოს და ყოველივე ამას ფასის ზრდის ხარჯზე აკეთებს.**

— დღევანდელ მსოფლიოში ამ მიზნით თითქმის ყველგან იყენებენ სხვადასხვა დანამატებსა და ემულგატორებს, მაგრამ საამისოდ აუცილებელია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რათა სწორად წარიმართოს ტექნოლოგიური პროცესი. ისე, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, თუ ნატურალური პროდუქტით გამოვიკვებებით და არა ხელოვნურით. ასეთი პროდუქტი, მართალია ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ ჯანსაღი და სასარგებლოა.

**— ყოველ შემთხვევაში, მომხმარებელმა, როცა პროდუქტს ყიდულობს, უნდა იცოდეს მაინც ის, რა სახის გამაუმჯობესებლებით არის „შეკმაზული“. ხშირად სარეკლამო ფურცელზე აწერია: „საფუარი-ნოლი, შაქარი-ნოლი, სინამდვილეში კი კაცმა არ იცის, ამის უკან რა იმალება!**

— მართალი ხართ, ასეთი რეკლამა სიყალბის ტოლფასია, რადგან მიმაჩნია, რომ ეს პროდუქტები სწორედ გამაუმჯობესებლებით არის გაჯერებული. სხვადასხვა დანამატებით გამომცხვარი პური სათანადო წარწერით უნდა იფუთებოდეს, მომხმარებელს არ უნდა ვატყუებდეთ, რომ მასში არც საფუარია და არც შაქარი.

**— ახლა ტელევიზორით ხშირად მოგვიწოდებენ — მიირთვით რკინით გამდიდრებული, იოდიზებული მასალით დამზადებული პური! როგორ გაიგოს მომხმარებელმა, პური ნამდვილად რკინით არის გამდიდრებული თუ ფოლადით?**

— ამიტომ ვამბობ, ეს ყველაფერი პურზე უნდა ეწეროს, თორემ ხომ შეიძლება, რომ ზოგი ჯანმრთელობას განსაკუთრებულად რკინაზე მეტად ფოლადი სჭირდებოდეს? (ღიმილით). მსგავსი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, წლეულს სექტემბერში ჩატარდა ქართველ ხაბაზთა ძალზე საჭირო ტრეინინგი, სადაც დაწვრილებით განმარტეს და პრაქტიკულად წარმოადგინეს საფუარისა და დანამატების მოქმედების ხერხები, ამასთან, სემინარის მონაწილეებს მიანიჭეს შესაბამისობის სერთიფიკატები. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებანი ხშირად უნდა იმართებოდეს, ის დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც მომხმარებლებს, ისე თავად ხაბაზებს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ ინფორმაცია



### მონაწილეობას რიგითი თბილისელებიც მიიღებენ

**გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ მეტრო „300 არაგველთან“ ახალი სკვერი და ფეხბურთის მოედანი გახსნა.**

**თბილისის მერმა მოსახლეობას მერიის ახალი ინიციატივაც გააცნო, რომლის მიხედვითაც თბილისის ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.**

**გიგი უგულავას განცხადებით, მოსახლეობას დაურიგდება სპეციალური ფლაერები, სადაც ისინი თავიანთ შეხედულებებსა და სურვილებს დაადასტურებენ. მოსახლეობას სპეციალური ფლაერები დღეს ისანი-სამგორის რაიონში დაურიგდათ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

# როდემდე?!.

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ არ უნდა აღმოჩნდეს გაურკვეველ, საგანგებო მდგომარეობაში და დარწმუნებულია, რომ მის მიერ გამოძიებულ მასალებზე საქართველოს ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს ჯეროვან რეაგირებას მოახდენს**



SIC!

# „ყველა ყრუი, ყველა ცრუი“

## ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს

*რა უნდა ამოძრავებდეს ამა თუ იმ დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებას, როცა მისი შესაბამისი სამსახურები, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს მიერ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულ ფაქტებს უმრავლეს შემთხვევაში ყურადღების მიღმა ტოვებენ.*

*მაინც, რაში უხდის ქვეყნის მოსახლეობა უპასუხისმგებლო ხელისუფლებას ელიტარულ ხელფასს?*

*ფაქტი ნათელია – დანაშაულის დაფარვა ანუ ხელისუფლების მხრიდან სააგენტოს მიერ გამოძიებული აშკარა დანაშაულის მფარველობა ხდება. ეს კი საგრძნობლად აუარესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.*

*ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ არ უნდა აღმოჩნდეს გაურკვეველ, საგანგებო მდგომარეობაში და დარწმუნებულია, რომ მის მიერ გამოძიებულ მასალებზე საქართველოს ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს ჯეროვან რეაგირებას მოახდენს.*

*კიდევ ერთხელ გთავაზობთ ჟურნალისტური გამოძიების გარკვეული ნაწილის მოკლე შინაარსს.*

იაპონიის საერთაშორისო დახმარების ფონდის 45 მილიონ აშშ დოლარის კრედიტის მიზნობრივი გამოყენების შესახებ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გენერალურ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სამ წელიწადზე მეტია ჭიანურდება. პარალელურად, კონტროლის პალატას ჯერჯერობით, ამ კრედიტთან დაკავშირებით არ დაუსრულებია შემოწმება. დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ხსენებული კრედიტის არამიზნობრივ გამოყენებაში მხილებულია არაერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე. ამის შესახებ მოსახლეობას ჩვენ არაერთხელ ვაცნობეთ საგაზეთო პუბლიკაციებით.

სომხეთის მიერ ჯავახეთში უკანონოდ აშენებული, ელექტროგადამცემი მაღალი ძაბვის ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის“ შესახებ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების მასალები გადაეცა გენერალურ პროკურატურას და ამავე დროს ენერგეტიკის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინაშე დავსვით მოთხოვნა – მოხდეს ამ უკანონო და უპატრონო ხაზის დაკანონება შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზის საფუძველზე. „აშოცკ-ნინოწმინდასთან“ დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ის დღემდე არ არის დასრულებული!

ხსენებული ხაზი აგრეთვე უკანონოდ არის შეერთებული ნინოწმინდის მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგურთან, რომლის ამჟამინდელ მეპატრონეს წარმოადგენს „ენერგო პრო ჯორჯია“. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მხილებულია არაერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე.

3. სომხეთიდან ელექტროენერგიის კონტრაბანდაში, მომხმარებლებისაგან უკანონოდ შევსებული ყოველთვიური ქვითრების მეშვეობით ფულის გამოძალვაში, შემოსავლების დამალვაში მხილებულია საქართველოს გაერთიანებული ენერგოსადისტრიბუციო კომპანია, რომელსაც მმართველობას უწევდა უცხო ქვეყნის „პი-ეი-გოვერნმენტ სერვის კომპანის“ წარმომადგენელი დინ სკოტ უაითი. მოპოვებულია კონტროლის პალატის დასკვნა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლებასა და ხსენებულ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება სამამულო კომპანიის მართვის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ უნდა შემდგარიყოძ ეს ხელისუფლების მხრიდან არ გაკეთებულა და ხელშეკრულება თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა. დინ სკოტ უაითის „მართვის“ ხანაში კომპანიას 120 მილიონ ლარზე მეტი კრედიტორული დავალიანება დაუგროვდა. საბოლოოდ (გაერთიანებული ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის „ენერგოპროზე“ გაყიდვის დროსძ დინ სკოტ უაითის ვალმა 500 მილიონ ლარს მიაღწია, რითაც ქვეყნის ენერგოგენერაციას და ელექტროსისტემას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა. ამ დროს კი, დინ სკოტ უაითი საქართველოს მთავრობის დონეზე ხმამაღლა აცხადებდა იმის შესახებ, რომ კომპანიის აბონენტებისგან მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების კოეფიციენტი თითქმის 70 პროცენტს გადასცილდა! მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას არც ერთხელ არ დაუსვამს მმართველი კომპანიის წინაშე მოთხოვნა, – აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამის შესახებ საკონტაქტო პირობებში არაფერი იყო ნათქვამი. ამ ფაქტებზე ჟურნალისტური გამოძიების მასალები გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას და ფინანსურ პოლიციას. შედეგი ნულის ტოლია!

ქვეყნის ხელისუფლებამ, არსებული კანონის აშკარა დარღვევით, 2004 წელს ნინოწმინდის რაიონის გამგებლად დანიშნა მელს ბდოიანი, რომელიც მრავალჯერ იყო მხილებული, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. წარსულში მას ეკავა ნინოწმინდის რაიონის მილიციის უფროსის და შემდგომ ალმასკომის თავმჯდომარის თანამდებობა, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და, იმავდროულად ნინოწმინდის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი. სწორედ მელს ბდოიანმა, 1989 წელს, არაფრად ჩათვალა მაშინდელი მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ნინოწმინდაში ქართული საშუალო სკოლის დაარსების შესახებ. ეს ის მელს ბდოიანია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ნინოწმინდის გავლით სომხეთის მიმართულებით კონტრაბანდული გზით გადიოდა ჩვენი ეროვნული სიმდიდრე – ხეტყე. ჩვენმა სააგენტომ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, საქართველოს პრეზიდენტს, გენერალურ პროკურორს, პარლამენტს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს მიმართა, რათა ბოროტმოქმედ მელს ბდოიანს საქმიანობა აღეკვეთა.

პროკურატურამ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გაფლანგვის საფუძველზე მელს ბდოიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. კერძოდ, საქმე ეხებოდა ნინოწმინდაში ქართული საშუალო სკოლის შენობისთვის გამოყოფილი სახსრების გაფლანგვას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროკურატურამ ის საპროცესო გარიგების შედეგად გაათავისუფლა პატიმრობიდან, თანაც პროკურატურამ არ ჩათვალა საჭიროდ განეხილა მელს ბდოიანის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის სხვა დანაშაულები.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, ჰოსპიტალური განვითარების გეგმის ფარგლებში, ფაქტობრივად, ქვეყნის მოსახლეობის, ჯანდაცვის სისტემის ინტერესების სრული იგნორირებით, აჩუქა „ავერსს“ და „პსპ“-ს ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ს/კ და ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტები, ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი, ბათუმის რამდენიმე საავადმყოფო. ამით ხელისუფლებამ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონის სრული იგნორირება მოახდინა. ამ ფაქტზე ხალხის პარტიამ და ჩვენმა სააგენტომ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მწვავე საგაზეთო პუბლიკაციას რეაგირება არ მოჰყოლია.

საპატრიარქოს „კრწანისის ტყე-პარკის“ გარკვეული ტერიტორიები, რომელიც 1994 წელს საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას განკარგულებით მართლმადიდებლური ეკლესიის სარგებლობაში გადავიდა, 2000-2007 წლებში გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციამ გაასხვისა. ამის შემდეგ ჩატარებული ჟურნალსიტური გამოძიების შედეგი, დასკვნის სახით, გენერალურ პროკურატურას, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს, იუსტიციის სამინისტროს გადაეცა. დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ საპატრიარქოს „კრწანისის ტყე-პარკის“ გარკვეული ფართობის მითვისებაში მონაწილეობას იღებდნენ გარდაბნის რაიონის გამგეობის და საკრებულოს მაღალი რანგის მოხელეები, იმავე რაიონის საჯარო რეესტრის სამსახურის, აგრეთვე რაიონის და რეგიონის პრივატიზაციის საქართველოს ხელმძღვანელები. მასალების გადაცემის შემდეგ გავიდა სამი თვე მაგრამ... ხელისუფლებამ, ჯერჯერობით, არ გვიპასუხა!

2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და ბათილად ცნო საქართველოს კანონი „სახელმწიფოს არქიტექტურულ-სამშენებლო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ“, რის საფუძველზე ქვეყნის ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა მოიხსნა ამა თუ იმ მშენებარე ობიექტის პროექტის კონტროლის ჩატარებაზე. ეს ეჭვის ქვეშ აყენებს აშენებული სახლების მდგრადობა-სიმტკიცეს. შეგროვილი მასალები გადავეცით საქართველოს პრეზიდენტს და გენერალურ პროკურატურას. შედეგი ნულის ტოლია.

მსგავსი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ძვირფასო ხელისუფალნო! მოვითხოვთ ჩვენს ჟურნალისტურ გამოძიებაზე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მოგვაწოდოთ სრული და კონკრეტული პასუხი. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერება დამყარდეს, ბოლო მოეღოს ქაოსსა და განუკითხაობას.

ჟურნალისტური
გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე“

ინფორმაცია

### ლევან გაჩეჩილაძის მომხრეებმა საარჩევნო კომპანია დაიწყეს

გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბი გუშინ თბილისში, თოფურიას № 10-ში გაიხსნა.

როგორც ჟურნალისტებს გაერთიანებული ოპოზიციის პრესსამსახურის თანამშრომელმა ნათია ლაზაშვილმა განუცხადა, შტაბის ხელმძღვანელი „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი, დეპუტატი კოკა გუნცაძე იქნება.

გარდა ამისა, ლევან გაჩეჩილაძის შტაბები თბილისის მასშტაბით სხვადასხვა უბნებშიც გაიხსნება.

ეს მისამართებია შირაქის № 3; დიდუბეში – თამარ მეფის გამზირის № 17; სამგორში – შუამთის № 10; მთაწმინდაზე – ზუბალაშვილის ქ. № 30; ჩუღურეთში – ალმაშენებლის № 46; ვაკეში – მირცხულავას ქუჩა № 6, მე-2 სართული; საბურთალოზე – კანდელაკის № 61; ნაძალადევში – ზესტაფონის ქ. № 4/14 და კრწანისში ვერცხლის ქუჩა № 41.

კითხვაზე, მოხსნის თუ არა ბადრი პატარკაციშვილი კანდიდატურას ლევან გაჩეჩილაძის სასარგებლოდ, ლევან გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ ეს კითხვა ჟურნალისტებმა პატარკაციშვილს უნდა დაუსვან.

ამასთან ერთად ლევან გაჩეჩილაძე მიხეილ სააკაშვილთან დებატებისთვის მზად არის. ამის შესახებ მან გუშინვე განუცხადა ჟურნალისტებს.

გაჩეჩილაძის თქმით, იგი დარწმუნებულია გამარჯვებაში და ამის მიღწევას ლევან გაჩეჩილაძე პირველივე ტურში აპირებს.

მისი თქმით, ლონდონში ვიზიტის დროს მას მეგობრებთან ბევრი საქმიანი შეხვედრა ჰქონდა, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილთან. აღნიშნული შეხვედრის დეტალებზე ლევან გაჩეჩილაძე არ საუბრობს.

### პროგრამას დეკემბერისთვის ვიხილავთ

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის, ლევან გაჩეჩილაძის საპრეზიდენტო პროგრამის პრიორიტეტები და საარჩევნო სლოგანი საზოგადოებისთვის ცნობილი პირველ დეკემბერს გახდება.

როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა წევრმა დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, ლევან გაჩეჩილაძე საპრეზიდენტო პროგრამას პირველ დეკემბერს წარმოადგენს.

ინტერპრესნიუსი
ჯი-ეიჩ-ენი

# გაბერწებული სოფელი

● ერთხელ კიდევ აღვნიშნავ: რაც უფრო დავაგვიანებთ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების პროგრამის შემუშავებას და მის ამოქმედებას, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოსახლეობას



◎ კითხული კაცის აზრი

# „ვაჰ, რაღად ვართ ღარიბი?"

***გვესაუბრება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია.***

**— სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მთლიანად ეკონომიკის მეტ-ნაკლებად ზრდის პირობებში, საქართველოს სოფლის მეურნეობა სტაგნაციას განიცდის. გლეხმა მიწა კი მიიღო, მაგრამ ცარიელა ხელით ვერ დაამუშავა. ამიტომაც მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია, გამოდის, რომ გლეხი მიწაზე მყარად ვერ დგას. არადა, საქართველოს პრეზიდენტმა გლეხობას ქვეყნის ხერხემალი უწოდა. რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ჩვენს გლეხობას?**

— მიუხედავად იმისა, რომ 1998-2006 წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მიმდინარე ფასებში თითქმის 44 მლნ ლარით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა ოთხჯერ შემცირდა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მდგრადობის ელემენტების უქონლობაზეც მიუთითებს და იმაზეც, რომ იგი უშუალოდ არის დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე. დარღვეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა. ბოლო წლებში წამყვანი ადგილი მეცხოველეობამ დაიკავა, რომელიც ექსტენსიური გზით ვითარდება და დამატებით საძოვრებად მიტოვებულ სახნავებსა და მრავალწლიან ნარგავებს იყენებს. ოფიციალური მონაცემებით, დაუმუშავებელი დარჩა საკუთრებაში გადაცემული და იჯარით აღებული 300 ათას ჰექტარზე მეტი ინტენსიური სავარგული, თუმცა არაოფიციალური მონაცემები უფრო შემაშფოთებელია, გლეხს აღარ უღირს მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, პირუტყვის მომრავლება მისთვის უფრო ხელსაყრელი გახდა მეცხოველეობის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და მის წარმოებაზე მცირე დანახარჯების გამო. მიმაჩნია, რომ ეს დროებითი უპირატესობაა, რომელიც მალე დაკარგავს აქტუალობას.

იმ პრობლემიდან გამომდინარე, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა, განადგურება ელოდება არა მარტო სოფელში მცხოვრებ მეწარმეს, არამედ სოფელს, როგორც სოციალურ საცხოვრისს, რომლის შენარჩუნებაზეც განვითარებული ქვეყნები ასეულ მილიონებს ხარჯავენ.

რაც უფრო დაგვიანდება მსოფლიო გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის თავისებურებების გათვალისწინებით ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების პროგრამის შემუშავება და ამოქმედება, მით უფრო გამოუსწორებელ შეცდომას დავუშვებთ ქვეყნის წინაშე, რომელიც დასაბამიდან აგრარული წარმოებით გამოირჩეოდა.

**— უკვე მესამე წელია, ქვეყანაში მარცვლეულის ნათესების შემცირების ტენდენცია იკვეთება. კლება ძირითადად ხორბლის ხარჯზე ხდება, რატომ? რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

— ბოლო წლებში საქართველოში მართლაც შეინიშნება მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობების შემცირების უარყოფითი ტენდენცია. 1985 წელს ნათესი ფართობი ყველა კატეგორიის მეურნეობაში 730 ათას ჰექტარს, 2000 წელს – 610,8, ხოლო 2006 წელს – 330.2 ათას ჰექტარს შეადგენდა, რაც 1985 წელთან შედარებით 22-ჯერ ნაკლებია. რაც შეეხება ხორბლის წარმოებას, იგი ამავე წლებში 104.5 ათასი ტონით შემცირდა. ხორბლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ყველაზე მაღალი 32 პროცენტიდან (2001 წ.) 9 პროცენტამდე შემცირდა. მოსალოდნელია ხორბლის წარმოების შემდგომი შემცირებაც საწვავზე ფასების ზრდისა და ხორბლის გარანტი-



რებული შესყიდვის კონტრაქტების უქონლობის გამო. სხვა მიზეზების ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგები, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ თქვენ ვერ დაასახელებთ ვერც ერთ თავმოყვარე ქვეყანას, სადაც ძირითადი სასურსათო პროდუქტის წარმოება ასე ბედის ანაბარად იყოს მიტოვებული. რაც შეეხება იმპორტს, მისი განხორციელება აუცილებელია. საუბარი ეხება ისეთ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს ხორბლის წარმოების მაქსიმალურ ზრდას და მასზე გარკვეულ სადაზღვევო ფონდის შექმნას, რაც პურზე ფასების ზრდის შერბილებისთვის იქნება გამოყენებული.

**— ბატონო თამაზ, საქართველო რომ აგრარული ქვეყანაა, ამაზე აღარავინ დავობს. მაგრამ საოცარია, რომ ჩვენი ბაზარი უცხოური, უგემოვნო პროდუქტების გამსაღებლად გადაიქცა. ბაზარი სავსეა თურქული კიტრითა და პამიდვრით, ბადრიჯნით, ბერძნული ხახვითა და ნივრით, ფრანგული ვაშლითა და მსხლით, ტაშკენტური ლობიოთი, ახლა ამბობენ, იტალიური პამიდორი შემოიტანეს, კილოს 30 ლარად ყიდიანო. რატომ ხდება ასე? ამით ხომ ჩვენი წარმოება კვდება? ნუთუ ჩვენს გლეხს ამ პროდუქტების მოყვანა არ შეუძლია?**

— ამ კითხვაზე მხოლოდ დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება. დიახ, საქართველო აგრარული ქვეყანაა და თქვენს მიერ დასახელებული პროდუქტების წარმოება ქართველ გლეხს შეუძლია და უფრო უკეთესადაც, ახლო წარსულში ამის პრაქტიკული გამოცდილებაც არსებობდა. ასეთ შემთხვევაში ფულს, რომელსაც დასახელებული პროდუქტების საყიდლად ქვეყნიდან გააქვთ, ქართველი გლეხობა გამოიყენებს და, რაც მთავარია, ოჯახების შემოსავლებიც გაიზრდება, მით უფრო, რომ ამონაგები სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან სოფლად მცხოვრები ოჯახების საერთო შემოსავლის 7-10 პროცენტს არ აღემატება. მაგრამ ყოველივე ეს აუხდენელ ოცნებად დარჩება, თუ ქართველ გლეხს შესაბამის ხელშემწყობ პირობებს არ შეუქმნიან, თუნდაც იმის მეათედს, რასაც თურქი ფერმერები იღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისთვის.

**— სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებში მეჩაიეობისთვის ხელშეწყობა ნახსენებიც არ არის, არადა, 2003 წელს დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა „ჩაი", სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 2004 წელს 3 მლნ ლარიც გამოიყო. პროგრამა 2004-2008 წლებს ითვალისწინებდა. 2006-2009 წლების პრიორიტეტებში კი, ვიმეორებ, მეჩაიეობა ნახსენებიც არ არის. რა გამოდის? ჩაის ბუჩქი საერთოდ უნდა ამოიძირკვოს? მაგრამ ალტერნატივის სახით რას ვთავაზობთ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას?**

— თქვენს მიერ ნახსენები მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ამჟამად საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შემუშავებულია საქართველოში მეჩაიეობის განვითარების კონცეფცია, რომელიც პარლამენტს 2006 წლის ოქტომბერში უნდა განეხილა, რაც დღემდე არ გაუკეთებიათ. საქართველოში რეკლამას უკეთებენ ყველა ჯურის ჩაის, გარდა ქართულისა. ჩვენთან, ყოველწლიურად 50-60 მილიონი ლარის ღირებულების ჩაი გააქვთ (მაშინ როცა ჩაის პლანტაციები მიტოვებულია, ხოლო ჩაის ფაბრიკები გაძარცვული და ჯართადაა ჩაბარებული). სხვათა შორის, სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობით, ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანებების დაფარვის მოტივით. გვყავს საკმარისი მუშახელი, სპეციალისტები, შენარჩუნებულია სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიც.

ჩაი და სხვა სუბროპიკული კულტურები დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაიონების მოსახლეობისთვის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ჩაის კულტურის თხილით ჩანაცვლების პროგრამები მოსახლეობისათვის არახელსაყრელია. დაჭაობებულ მიწებზე თოხით მოყვანილი სიმინდი ან სხვა ერთწლიანი კულტურა, ეკონომიკას ვერ შექმნის.

მეჩაიეობისადმი ასეთი დამოკიდებულება, არც მეტი, არც ნაკლები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების სრული იგნორირებაა და მეტი არაფერი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაიზე მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მისი ექსპორტი ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნებიდან ადგილობრივი მოხმარების გამო შემცირდა, საქართველოში ჩაის წარმოების შეწყვეტა ეკონომიკური დანაშაულის ტოლფასია. ნუ დაგვავიწყდება, რომ მეჩაიეობის რაიონებში, ეკონომიკურ იძულებით მიგრაციამდე, 500 ათასი კაცი ცხოვრობდა. სწორედ მათ ბედზეა აქ საუბარი.

**— ხელისუფლებამ თბილისთან ახლომდებარე სოფლები თბილისს შემოუერთა, მოსახლეობა უკმაყოფილოა, ფიქრობენ, რომ მათ მიწებს უცხოელები დაეპატრონებიან, ასევე შეშფოთებული არიან საძოვრების შესაძლო პრივატიზაციითაც, რაც, მათი აზრით, მეცხოველეობის აბსოლუტურ დაცემას გამოიწვევს.**

— მეც ვფიქრობ, რომ თბილისის გარშემო მიწები ძირითადად სააგარაკო მიწებად გაიყიდება, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს. ამით გაგრძელდება ის ტენდენცია, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის დროს ჩაეყარა, როცა თბილისის გაფართოების მიზნით უზარმაზარი ფართობები ამოღებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ორთაჭალაში, ავჭალაში, გლდანში, მუხიანში, დიღომში და სხვაგან. მაშინდელი იდეოლოგიით საკუთრება მხოლოდ სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო, მაშინ, როცა მეურნეობის მრავალ დარგში კერძო საკუთრება გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა.

დღეს ამ იდეოლოგიის გადაბრუნებულ ფორმასთან გვაქვს საქმე, თანაც მისი ულტრამოდელის, რომლის თანახმად მხოლოდ კერძო საკუთრებაა ყველაფრის პანაცეა. ეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას ეწინააღმდეგება და შედეგებიც შესაბამისი გვაქვს.

რაც შეეხება საძოვრების პრივატიზაციას, აქაც წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ აქ მთავარია მოვერიოთ ჩვენს მენტალობას და ვაღიაროთ, რომ დამთავრდა ის დრო, როცა რაიმე უფასო იყო. საბაზრო ეკონომიკის დროს ყველაფერს ადევს ფასი.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ სოფელში სიღარიბე მატულობს, ქალაქში კი იკლებს? რა ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო, რომ სოფელი კვლავ ქალაქის დამპურებლად იქცეს, და ბოლოს, ხომ არ დაკნინდება სოფლის ფენომენი, როგორ გესახებათ მისი მომავალი?**

— ერთხელ კიდევ აღვნიშნავ: რაც უფრო დავაგვიანებთ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების პროგრამის შემუშავებას და მის ამოქმედებას, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოსახლეობას. დღეს ტექნოლოგიები, რითაც კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ მსოფლიოში, ელვის სისწრაფით ვითარდება და ჩამორჩენა ამ სფეროში, რომელიც ქართულ სოფელში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, სულ უფრო ღრმავდება, თანაც ისეთი ტემპით, რომ მალე შეიძლება გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნას. ყველასგან, მათ შორის საფინანსო-საკრედიტო სექტორისგან მიტოვებული ქართული სოფელი მაგონებს იმ ოჯახში დაბადებულ ბავშვს, რომლის მშობლებსაც ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და უბრძანეს, შეჯიბრებოდა „მსოფლიო ჩემპიონს" სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სფეროში და მოეგო მისთვის. შედეგი გასაგებია. იგი შეიძლება მხოლოდ ლეტალური იყოს.

თუ რამდენად ესმით მაღალი რანგის ჩინოვნიკებს თანამედროვე სოფლის მეურნეობის პრობლემები, აშკარად ჩანს მათი განცხადებებიდან, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებში ჩარევის უფლება თურმე სახელმწიფოს არ ჰქონია. რა უნდა ვურჩიოთ ამ ხალხს? რა და ოდნავ მაინც სცადონ საკითხში გარკვევა და გადაწყვეტილებები შემდგომ მიიღონ.

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

# უცხო თვალი

**● დასავლეთი ყველაფერზე ახდენს გავლენას, ისევე როგორც რუსეთი ცდილობს გავლენა ჰქონდეს პოსტსაბჭოთა სივრცეზე. მიჭირს ამაზე მსჯელობა. საქართველო რუსეთისგან განსხვავებით ღიად აცხადებს, რომ დასავლური ღირებულებების ერთგულია**



**სტუმარი**

***უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ თბილისს რუსეთის ცნობილი ჟურნალისტი, ტელეკომპანია „ნტვ“-ს ერთ-ერთი პოპულარული გადაცემის წამყვანი, ამჟამად რუსული „News Week“-ს რედაქტორი ლეონიდ პარფიონოვი ესტუმრა. თბილისში ყოფნისას იგი თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრს შეხვდა. მას ასევე შეხვედრები ჰქონდა საზოგადო მოღვაწეებთან, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებთან.***

***„ინტერპრესნიუსმა“ კოლეგის თბილისში ყოფნით ისარგებლა და საქართველოში ნოემბერში განვითარებულ მოვლენებზე და თბილისში მიღებულ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა.***

# ლეონიდ პარფიონოვი – მუქარით კი იმუქრებიან, მაგრამ სინამდვილეში რა იქნება, არავინ იცის...



**— თქვენ საქართველოში ნოემბრის მოვლენების კვალდაკვალ ჩამოხვედით და რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფებით. ვიცი, გქონდათ საინტერესო შეხვედრები, გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე?**

— მეჩვენება, რომ საქართველოში ვითარება გაცილებით ნაკლებად არეულია, ვიდრე ეს მოსკოვიდან ჩანს. მოსკოვიდან ჩანდა, თითქოს აქ ყველაფერი დუღს და არ წყნარდება. ასეთია ჩემი საერთო შთაბეჭდილება. საქართველოს პრეზიდენტს შევხვდები და ვიმედოვნებ, ჩემთვის ბევრი რამის გარკვევას შევძლებ.

ჩამოვედი „News Week“-ისა და „News International“-ისათვის მასალის მოსამზადებლად. მინდა გავიგო სააკაშვილის პოზიცია, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში მას დასავლეთის პრესისათვის ინტერვიუ თითქმის არ მიუცია. მინდა მოვისმინო მისი კომენტარი იმის შესახებ, თუ რა სტადიაშია ის პროცესი, რასაც ჩვენ უკანასკნელი 3-4 წელია საქართველოში თვალს ვადევნებთ.

შევხვდი კოლეგებს ტელეკომპანია „იმედიდან“ და სხვა კოლეგებს. მომეჩვენა, რომ ქართულ საზოგადოებას სურს სერიოზული დასკვნების გამოტანა იმ სურათიდან, რაც თბილისში რუსთაველის გამზირზე 1991 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად მეორდება.

უნდა ითქვას, რომ რუსეთში, ქვეყანაში განვითარებული პროცესებიდან დასკვნები არ გამოუტანიათ. ჩვენ შორს ვართ ღია პოლიტიკური საზოგადოების შექმნისგან, რომელშიც მიმდინარეობს უმნიშვნელოვანეს თემებზე დიალოგი და დისკუსია. საქართველოში კი, მეჩვენება, რომ ამის შესაძლებლობა დაკარგული არ არის. თუ ერთის მხრივ ხელისუფლება და ოპოზიცია და მეორეს მხრივ პრესა მიხვდება, რომ საჭიროა პროფესიონალური საქმიანობა და არა რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმისაგან, რაც მოხდა, ყველა სასარგებლო დასკვნებს გააკეთებს. მე ყველაზე ნაკლებად მინდა გამოვიდე ლენინის სტატიის „გარეშე პირის რჩევების“ ავტორად, ვინაიდან ყველაფერი მაინც ქართველების გადასაწყვეტია.

**— ბევრი გაკვირვებულია სააკაშვილის მიერ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის გამო, თქვენც გაგაკვირვათ პრეზიდენტ სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებამ?**

— რა თქმა უნდა. ერთი შეხედვით, ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამ გადაწყვეტილებით მან ქვეყანას კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობა მისცა. ჯერ არ ვიცი ეს შესაძლებლობა ბოლომდე რეალიზებული იქნება თუ არა, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტმა ღია კარის სიტუაცია შექმნა, უდავოა. უნდა ვაღიაროთ, რომ მან თვის უფლებამოსილებას სეკვესტრი წელიწადნახევრით ადრე გაუკეთა. როგორადაც არ უნდა თქვან, ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის მიმართ დათმობა თუ არა, სერიოზული ჟესტი იყო. ამიტომ, ეს ნაბიჯი მოულოდნელი, მაგრამ იმავდროულად იმედისმომცემი მეჩვენა.

**— თქვენ ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებთან გქონდათ შეხვედრა. როგორია თქვენი დამოკიდებულება „იმედის“ დახურვასთან დაკავშირებით და იმის მიმართ, რაც თქვენ ქართველი კოლეგებისგან მოისმინეთ?**

— შეფასებების გაკეთება ნამდვილად არ მინდა. ტელეკომპანიის დახურვა არაპოპულარული აქტია. რუსული გამოცდილებიდან ვიცი, რომ ტელეკომპანიის დახურვა მძიმე პროცესია. ბუნებრივად მეჩვენება ტელეკომპანია „იმედისა“ და “ნტვ“-ს დახურვებს შორის პარალელების გავლება. იმავდროულად კარგად მესმის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ჟურნალისტიკაში ასეთი რამ გარდაუვალი იყო, როცა ჟურნალისტები თავს ერის მამებად მიიჩნევდნენ, მზად იყვნენ პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. ჩემი თვალთახედვით, ამგვარი, 90-იანი წლების ჟურნალისტიკის ეპოქა უნდა დასრულდეს. მეორე საკითხია, რომ რუსეთი ასეთი ჟურნალისტიკიდან ღირსეულად ვერ გამოვიდა. ოლიგარქები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის ლიდერები არიან, აქვთ ფინანსური რესურსები, მაგრამ მათი მონაწილეობა მედიასაშუალებებში რომ ბიზნესი არ იყო და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური გავლენის იარაღი იყო, ესეც უდავოა.

რუსეთში ყველაზე ცუდად მოიქცნენ. ლიკვიდირებულ იქნენ ოლიგარქები და დამყარდა სახელმწიფოს დიქტატი, რაც უფრო ცუდი აღმოჩნდა. თუ საქართველო რუსეთის ამ მაგალითიდან ღირსეულ გამოსავალს იპოვის, ეს ჩვენთვისაც კარგი მაგალითი იქნება. მინდა, რომ საქართველოში არ გაიმეოროთ რუსული გამოცდილება და სხვების შეცდომებზე რაღაც ისწავლოთ.

მე ვესაუბრე „იმედის“ თანამშრომლებს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი პროფესიონალები და საქმის ერთგული ადამიანები არიან. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რამდენად კორექტულად და უმტკივნეულოდ შეძლებენ ისინი ტელეკომპანიის პრობლემის გადაწყვეტას. ტელეკომპანია რომ გაიხსნება, გასაგებია. როგორც იტყვიან წყალი გასასვლელს ყოველთვის იპოვის, მაგრამ მათზეც ბევრია დამოკიდებული. მათ უნდა გაარკვიონ, რომელ მოედანზე აპირებენ კონკურირებას — კოლეგებთან, ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან, სხვა ინსტიტუტებთან. ცხადია, საზოგადოებას სჭირდება ინფორმაცია და მოედანი პოლიტიკური დიალოგისა და დისკუსიისათვის. საზოგადოებისთვის მთავარი ინტერესია მედიაბიზნესისათვის პირობების შექმნა და არა რევოლუციურ ბრძოლაში პრესიის მონაწილეობა.

**— ჩვენთან ხშირად გაიგებთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი პრეზიდენტ პუტინს ხშირად აკრიტიკებს, იგი ხშირად იმას აკეთებს, რაც რუსეთში პუტინმა უკვე გააკეთა. ამის დასტურად ელექტრონული მედიისადმი პუტინის საქმიანობას იხსენებენ. თქვენი აზრით, რამდენად უპრიანია სააკაშვილის პუტინთან შედარება?**

— ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. „ნტვ“-ს ამბავი დასრულებულია. თქვენთან „იმედთან“ დაკავშირებული ისტორია დასრულებული არ არის. „ნტვ“-ს დახურვამდე, „ნტვ“-ზე ისეთივე სიწყნარე იყო, როგორც სასაფლაოზე. „ტელეიმედი“ კი ბოლო მომენტამდე მუშაობდა. დაველოდოთ, როგორ დასრულდება თქვენთან ამ არხთან დაკავშირებული ისტორია და მერე ვიმსჯელოთ, რამდენად ჰგავს სააკაშვილი პუტინს.

გავიმეორებ, ჩემი სურვილია, თქვენ არ გაიმეოროთ რუსეთში ტელევიზიების მიმართ ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები და მათ მაგალითზე რამე ისწავლოთ.

**— ხელისუფლება ოპოზიციას რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს, რამდენად სარწმუნოდ მიიჩნევთ ოპოზიციის მიმართ გამოთქმულ ამგვარ ბრალდებას?**

— ვერ გეტყვით. ხელისუფლება ოპოზიციას ყოველთვის აკრიტიკებს, თავის მხრივ, ოპოზიციაც ხელისუფლებას ოპონირებს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ვფიქრობ, საქართველოში განსაკუთრებულად პრორუსულად განწყობილი ოპოზიცია არ არსებობს. რუსულ პრესასაც ეტყობა, რომ რუსეთში არ იციან, თუ ვის შეიძლება დაუჭირონ მხარი და საქართველოში ამგვარად ხელი შეუწყონ აგენტების არსებობას.

სულაც არ მეჩვენება, რომ რუსეთის აგენტი შეიძლება იყოს ბადრი პატარკაციშვილი. თუნდაც იმიტომ, რომ მასზე და მის პარტნიორ ბერეზოვსკიზე რუსეთის ხელისუფლებას ალერგია აქვს. თუმცა, იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ მათ შორის ყველანაირი შეთანხმებები შეიძლება არსებობდეს, ამ სფეროში რაიმე პრინციპების არსებობაზე საუბარი ზედმეტია. მიუხედავად ამისა, მეჩვენება, რომ პატარკაციშვილი რუსეთის ჯაშუშს არ ჰგავს.

**— თქვენი აზრით, რამდენად ძლიერია დასავლეთის გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, თუნდაც იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას უკავშირდება?**

— დასავლეთი ყველაფერზე ახდენს გავლენას, ისევე როგორც რუსეთი ცდილობს გავლენა ჰქონდეს პოსტსაბჭოთა სივრცეზე. მიჭირს ამაზე მსჯელობა. საქართველო რუსეთისგან განსხვავებით ღიად აცხადებს, რომ დასავლური ღირებულებების ერთგულია. თქვენთან შეიძლება იმაზე კამათი, რომ რაღაც არ ვარგა და მისი გაკეთება სხვაგვარად სჯობს და ა.შ. რუსეთი ამტკიცებს, რომ მას აქვს სუვერენული დემოკრატია და არანაირი სტანდარტები არ სჭირდება. ჩვენთან დისკუსია წარმოუდგენელია. თქვენთან ამგვარი დასავლური გავლენა რომ არის, კარგია, ჩემთვის დასავლეთის, ასე ვთქვათ, რბილი გავლენა, მისაღებია. ჩემი ღრმა რწმენით რუსეთი თავისი ტრადიციითა და კულტურით ევროპული ქვეყანაა. არ არის იმის მტკიცება საჭირო, რომ „мы сами с усами“ მიმაჩნია, რომ ამის მტკიცება სისულელეა. მე დასავლეთის ამგვარი რბილი გავლენის მომხრე ვარ და თავს დასავლური ორიენტაციის მომხრედ მივიჩნევ.

**— თქვენთან მალე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებია. ანალიტიკოსების აზრით, ეს არჩევნები პუტინისადმი ნდობის რეფერენდუმს უფრო ჰგავს და შედეგიც წინასწარ ცნობილია. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— სამწუხაროდ, ასეა და ეს მთელმა მსოფლიომ იცის. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამოცოცხლდება. ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნება რაღაც სიურპრიზი. ახლა ყველაფერი წინასწარ ცნობილია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებზე სრულიად გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს. იმაში, რომ სიურპრიზები იქნება, დარწმუნებული ვარ.

**— ვეჭვობ, ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება დაუპირისპირდეს პუტინს და მას არჩევნების მოგების გარკვეული შანსები აქვს, ასეა?**

— დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სრულიად არაპროგნოზირებადი შეიძლება იყოს.

**— ბალკანეთში ისე ვითარდება მოვლენები, რომ კოსოვომ შეიძლება მალე დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სავარაუდოა დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება?**

— მიჭირს ამაზე მსჯელობა. მე არასოდეს მესმოდა კავკასიის კონფლიქტებში ჩვენი მონაწილეობის. მაინტერესებს, აქვს თუ არა რუსეთს სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რა შედეგის მიღწევა უნდა მას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გასაგებია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „დედარუსეთზე“ არიან დამოკიდებული. ისიც ნათელია, რომ რუსეთი ამ კონფლიქტების მოგვარებას არ ჩქარობს და ვარაუდობს, რომ გასავლელი აქვს კიდევ რაღაც სტადია, რომლის გამოყენება შეიძლება. არ ვიცი, აქვს თუ არა რუსეთს შემუშავებული ამ კონფლიქტური რეგიონებისადმი გრძელვადიანი პოლიტიკა იმ თამაშში, რასაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჰქვია.

**— არ ვიცი, რას ფიქრობს მომავალში რუსეთი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოსკოვიდან იმართება და სულ უფრო მეტად ხდება საქართველოს ეს ორი რეგიონი რუსეთთან ინტეგრირებული...**

— მიერთება რომ უნდოდეს, აქამდე მიიერთებდა, ამის ხელსაყრელი მომენტი ბევრჯერ იყო.

**— პრაქტიკულად მიერთებული არ აქვს?**

— პრაქტიკულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ რუსეთს მათი დამოუკიდებლობა ხომ არ უღიარებია. საბჭოთა პერიოდში ბულგარეთს მე-16 რესპუბლიკად მიიჩნევდნენ, მაგრამ ხომ არ მიუერთებიათ. ფაქტია, რომ რუსეთს მათი აღიარების ან მიერთებისთვის ნაბიჯი არ გადაუდგამს. ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ კოსოვო დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. აჰტისაარის გეგმა ჰაერში გამოკიდებული დარჩება. შეიძლება დასავლეთის ზოგიერთმა ქვეყნებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარონ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ქცევის როგორ წესს აირჩევს რუსეთი, რას შესთავაზებს მას დასავლეთი კავკასიური კონფლიქტების მოსაგვარებლად.

**— რუსეთის პოლიტიკოსები აღარც მალავენ, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ „მოსკოვი მთელი პროგრამით იმოქმედებს.“**

— საქმეც ის არის, რომ იმას კი ამბობენ, მთელი პროგრამით ვიმოქმედებთო, მაგრამ როგორი იქნება ეს პროგრამა, არავინ ამბობს. მუქარით კი იმუქრებიან, მაგრამ სინამდვილეში რა იქნება, არავინ იცის.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი“**

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

# პრობლემა

**გამოთქმულია პროგნოზები, რომ 2100 წლისთვის ევროპაში ტემპერატურა გაიზრდება 2 გრადუსიდან 6,3 გრადუსამდე 1900-თან შედარებით. ამასთან ერთად, წინასწარმეტყველებენ ზღვის დონის მატებას. და ამინდის ცვალებადობის დიდ სიხშირეს. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს შორეულ შთამომავლებს ბუნება სამერმისოდ არასახარბიელო პერსპექტივებს ჰპირდება**



**მეცნიერება**

*ჰიდრავლიკის, ჰიდროლოგიის, ეროზიული პროცესების, საიმედოობის თეორიისა და რისკის თეორიის, ეკოლოგიური მდგრადობის ცნობილ სპეციალისტად მოიხსენიებს აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ კუზნეცოვი გამოჩენილი ქართველი ჰიდროტექნიკოსის ერთ-ერთი მონოგრაფიის წინათქმაში...*

*ამას წინათ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის თხოვნით, ბატონმა ცოტნემ აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წაიკითხა ვრცელი, ფუნდამენტური, მრავალპლანიანი მოხსენება „კლიმატის გლობალური დათბობა, მისი გავლენა ბუნებრივ კატასტროფებზე და დაძველებული შენობების მოსალოდნელი ზიანის შერბილების გზები“. ამ ერთობ შთამბეჭდავი გამოსვლის დამსწრეთა შორის მეც გახლდით და რამდენიმე ხნის შემდეგ შეხვედრა-საუბარი ვთხოვე ყოველმხრივ დამსახურებულ კაცს.*

*აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა კვლავ „საქართველოს რესპუბლიკის“ სასურველი სტუმარია.*

# გლობალური დათბობა — პლუსები და მინუსები

## ქართველი სწავლული კაცობრიობის ამჟამინდელი თავსატეხის შესახებ

**— ბატონო ცოტნე, ჩვენი პლანეტა, მთელი დედამიწის მოსახლეობა, როგორც ყოველთვის კაცობრიობის ისტორიის სიგრძეზე, ახლაც არაერთი პრობლემის წინაშეა დამდგარი, მაგრამ ერთი განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. გლობალურ დათბობას ვგულისხმობ, რომელიც, მართლაც რომ, გლობალურად ქცეულა და ყველასთვის გაუჩენია თავსატეხი, მეტადრე დიდი სახელმწიფოებისა და იმათი მთავრობებისათვის...**

— მართალი ბრძანდებით, ოღონდ კიდევ უფრო დავაკონკრეტებ და განვმარტავ, რომ კლიმატის გლობალური ცვლილების ნეგატიური გავლენის შემცირება თითოეული ქვეყნის საზრუნავია და პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტი... ბოლო პერიოდის ორიოდ ეპიზოდს შეგახსენებთ საერთაშორისო ცხოვრებიდან: საფრანგეთის პრეზიდენტი ახალი არჩეული გახლდათ, როცა ამ რანგში პირველი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში გამართა ხსენებული დათბობის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაზე სასაუბროდ.

მერე ისიც იყო, რომ რვა სახელმწიფოს მეთაურებმა სხვადასხვა ქვეყნის აკადემიებს რჩევების მისაცემად მიმართეს მოვლენით გამოწვეულ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. საგანგებო რეკომენდაციებს სხვებთან ერთად ხელს აწერს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იური ოსიპოვი.

დადგა ჟამი, რომ საქართველომაც მიაქციოს ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება სწორედ სამთავრობო დონეზეც. პრობლემა დიახაც, იმსახურებს ამას. მეცნიერება ხომ დღესდღეობით ვალშია მოსახლეობის წინაშე.

**— მაინც როგორ დაიწყო ეს ამბავი, როგორ მოგვადგა პრობლემა?**

— მცირე ანალიზი გვიჩვენებს, რომ დედამიწის კლიმატის სისტემა იცვლებოდა ინდუსტრიული ეპოქის დადგომის შედეგად, როგორც გლობალურად, ისე რეგიონალურად ადგილი ჰქონდა ანთროპოგენურ ზეგავლენასაც (ანთროპოგენი — თანამედროვე, მეოთხეული პერიოდი დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში — **რედ.**ქ. შეიძლება იმის მტკიცება, რომ 1990-იანი წლები გახლდათ ყველაზე თბილი ათწლეული. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შენიშნული დათბობა ადამიანის ზემოქმედებით უნდა ავხსნათ. ყველა პროგნოზი გვიჩვენებს, რომ საშუალო ტემპერატურა გაიზრდება დედამიწის ზედაპირზე და ზღვის დონემ უნდა მოიმატოს. მიზეზი $CO_2$-ის მატება, ადრინდელი 280 მილიონიდან 540-970 მილიონ ტონამდე. 2000 წელს ის 368 მილიონ ტონას შეადგენდა.

ქვემოთ შევეცდები კლიმატის გლობალური ცვლილების რამდენიმე სფეროს განხილვას, მაგრამ მანამდე ცდუნებას ვერ გავუძლებ და ჩემი პროფესიიდან გამომდინარეც, წყლის რესურსებზე გავაკეთებ აქცენტს. მით უფრო, რომ დედამიწის მოსახლეობისათვის ეს გახლავთ დაუფასებელი სიმდიდრე და დათბობის ფენომენისაგან ლამის ყველაზე მეტ გავლენას განიცდის. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თუ საქართველოს რამე აქცევს მდიდარ სახელმწიფოდ, ეგ, უპირველეს ყოვლისა, წყალმა უნდა შეძლოს.

საქმე ისაა, რომ გლობალურმა დათბობამ ვაითუ ადამიანის უძველესი მეგობარი — წყალი მტრად გადააქციოს.

**— თუ არსებობს მონაცემები მტკნარი წყლის მსოფლიო რესურსების შესახებ?**

— ციფრების დასახელებამდე გავიხსენოთ: სანამ ადამიანი მოსაზრებების გამოსახვას გრაფიკული სიმბოლოებით ისწავლიდა, მანამ ალმერთებდა წყალს. მჯერა, მესამე ათასწლეულში ხელახლა დადგება ასეთი დრო. დედამიწაზე მტკნარი წყლის რაოდენობა კი მხოლოდ 20 ათასი კუბური კილომეტრია და ეს რაოდენობა მარტო 20 მილიარდი მცხოვრებისათვის არის საკმარისი.

**— რა შეიძლება ითქვას კლიმატის გლობალური ცვლილების შესახებ მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე?**

— მე შემიძლია იმის თქმა, რომ ამ პრობლემის ირგვლივ, გინდაც პრობლემის წარმოშობის მიზეზებზე მკვლევარები სულ ბოლო ხანამდე გაცხარებით დავობენ. მე ვიცნობ აშშ-ის სახელგანთქმული მასაჩუსეტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის ლინდზენის ერთ-ერთ ინტერვიუს, სადაც აღშფოთებას გამოთქვამს კლიმატის ცვლილების სპეკულანტური შეფასებების გამო. ასეთ შეფასებებს თურმე დასაბამი მისცა ამერიკული კოსმოსური კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ჰანსენმა, რომელმაც განაცხადა, რომ დედამიწაზე მიმდინარე დათბობის მიზეზი ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდააო. $CO_2$-ის შემცველობის მატება კი ძირითადად გამოწვეულია ორგანული წიაღისეულის დაწვით, ატმოსფეროში, ეგრეთ წოდებული „სათბურის გაზის“ შერევით. პროფესორი ლინდზენი ამის საპირისპიროდ ფიქრობს, რომ ამგვარი მტკიცება სარწმუნოობის რაიმე ხარისხით შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერება კლიმატის გლობალური ცვლილების შესახებ ჯერაც დაბალ დონეზეა.

**— ნავთობის მოხმარების, მარაგის, ახალი საბადოების არსებობის თაობაზე თუ არსებობს სტატისტიკური სურათი?**

— მოხმარება სისტემატურად იზრდება. 1950 წელს თუ მსოფლიომ 470 მილიონი ტონა მოიხმარა, XXI საუკუნის დასაწყისში ყოველწლიურად 3529 მილინ ტონას ხარჯავს. შესაბამისი ოდენობა ატმოსფეროში გაშვებული ნახშირორჟანგისა ასე ნაწილდება ქვეყნებზე: აშშ — 24,2 ტონა, ჩინეთი — 12,8, რუსეთი — 6,4, იაპონია — 4,9, ინდოეთი — 4, საფრანგეთი — 16...

ხელსაყრელი ალტერნატივის არარსებობის გამო ნავთობს ალბათ კიდევ კარგა ხანს მოიხმარენ. კი ამტკიცებენ, ნავთობის მარაგი ილევაო, მაგრამ სათბურის გაზით ატმოსფეროს გაჭუჭყიანება კვლავაც დიდხანს გაგრძელდება. ეგ იმიტომაც, რომ მსოფლიოში სულ ახალ-ახალ საბადოებს აღმოაჩენენ. აგერ ახლახან აშშ-ის მექსიკის ყურეში 8,5 კმ სიღრმეზე მიაგნეს 15 მილიარდი ბარელის შემცველ უზარმაზარ საბადოს (ბარელი 159 ლიტრის ტოლია — **რედ.**ქ. დიდი საბადოები დაზვერეს სხვა ქვეყნებშიც (საუდის არაბეთში, სადაც მარაგი 250 მილიარდ ბარელს აღწევს, ასევე დიდმარაგიან რუსეთში, რომლის უკვე დაზვერილი ოდენობა საკმაოდ მოზრდილია და სხვაგანაც).

**— ბატონო ცოტნე, პრეზიდიუმის სხდომაზე თქვენ გლობალური დათბობით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებზეც ილაპარაკეთ...**

— დიახ, თანამედროვე მეცნიერებამ ბუნების სხვადასხვა სახის სტიქიური უბედურებების ლოკომოტივად სწორედ გლობალური დათბობა მონათლა. აქ უნდა ვიგულისხმოთ წყალდიდობები, ცუნამი, ტყის დიდი ხანძრები, ღვარცოფები. ყველაზე საგრძნობი ზარალის მიყენება სწორედ წყალდიდობებსა და ღვარცოფებს ძალუძთ.

გამოთქმულია პროგნოზები, რომ 2100 წლისთვის ევროპაში ტემპერატურა გაიზრდება 2 გრადუსიდან 6,3 გრადუსამდე 1900-თან შედარებით. ამასთან ერთად, წინასწარმეტყველებენ ზღვის დონის მატებას. და ამინდის ცვალებადობის დიდ სიხშირეს. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენს შორეულ შთამომავლებს ბუნება სამერმისოდ არასახარბიელო პერსპექტივებს ჰპირდება.

**— რაკი გლობალური დათბობა წყალდიდობების გააქტიურებას მოიყოლიებს, ეს ალბათ წყლის რესურსებზეც იმოქმედებს...**

— რა თქმა უნდა, იმოქმედებს. მრავალრიცხოვანმა დაკვირვებამ, შესაბამისმა ანალიზმა აჩვენა, რაც ხდება. დადგინდა, რომ წყლის რესურსების მატება 7 პროცენტამდეა მოსალოდნელი. დათბობა სერიოზულ გავლენას იქონიებს სასმელი წყლის რესურსების როგორც რაოდენობაზე, ასევე ხარისხზე. სასმელი წყლის ინდუსტრიის — ასეთი ცნებაცაა შემოღებული — პროგრამა ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ჩვენს აკადემიაში წყლის რესურსების კომისიაცაა შექმნილი, რომელიც საგანგებო ყურადღებას უთმობს საკითხს. ბოლო წლების განმავლობაში ეროვნულმა აკადემიამ რამდენჯერმე განიხილა ეს საკითხი და სპეციალური წერილითაც მიმართა რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

**— კლიმატის გლობალურ ცვლილებას, როგორც ირკვევა. სხვა ბევრი მინუსიც ახლავს. თქვენი მსჯელობიდან ჩანს ასეთი ცვალებადობის მავნე გავლენა ბიოსფეროზეც... ამრიგად, დღის წესრიგში დგება არსებითი საკითხი მოვლენის საწინააღმდეგო რაციონალური ღონისძიებების გამოძებნისა...**

— თანამედროვე ეტაპზე ფრიად მნიშვნელოვანია ისეთი საშუალებების დამუშავება, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებენ $CO_2$-ით ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას. საჭიროა შემცირება ან დასაშვებ ზღვრამდე დაყვანა ისეთი დარგების მიერ ორგანული საწვავის გამოყენებისა, რომლებიც მას დიდი რაოდენობით ხარჯავენ, უმთავრესი მომხმარებელი აქ ენერგეტიკა გახლავთ. ხსნა უნდა ვეძიოთ ჰიდროენერგეტიკის, მზის, ქარის, თერმული წყლების, ბიოგაზის გამოყენებით ენერგიის გამომუშავებაში. თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ ატომური ენერგიის გამოყენებას უნდა მივმართოთ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეკოლოგიურად ის ყველაზე სუფთაა და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შერევის შემცირების საშუალებას წარმოადგენს. ამიტომაა, რომ საფრანგეთში ატომური ენერგიის წილია 86 პროცენტი, შოტლანდიაში — 55, აშშ-ში — 20. ატომური ენერგეტიკა საკმაოდ განვითარდა ჩინეთსა და ირანშიც კი. მსოფლიოში ამჟამად 100-ზე მეტი ატომური სადგური ფუნქციონირებს.

ცნობილია, რომ $CO_2$-ით ატმოსფეროს დაბინძურების შემცირება. ერთობ ძვირი ფუფუნებაა. 1 ტონა ნახშირორჟანგის დაჭერა 100-დან 300 დოლარამდე ჯდება, რაც თვით საწვავის ღირებულებას აღემატება.

**— ბატონო ცოტნე, ასეთი თემა რომ ავილოთ: „გლობალური დათბობა და საქართველო“ — როგორ გააშუქებდით?**

— საქართველოს შემთხვევაში აღვნიშნავ, რომ კლიმატის გლობალურ ცვლილებას ჩვენი მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობისათვის შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა, გნებავთ, ასე ვთქვათ — როგორც პლუსები, ისე მინუსები.

მოსალოდნელი დადებითი ეფექტები: სითბომოყვარულ მცენარეთა კულტივირების არეალის გაფართოება; სითბომოყვარულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის მატება; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ხარისხოვანი მაჩვენებლების ამაღლება; ახალი სითბომოყვარული კულტურების შემოტანა-გავრცელება; სანაწველალო და შემამჭიდროვებელი კულტურების თესვა-მოყვანით მეცხოველეობის საკვების ბაზის განვითარება და პროდუქტიულობის ამაღლება; ცხოველთა სადგომების, ნედლეულის საწყობებისა თუ სხვა დამხმარე ნაგებობათა სამშენებლო ხარჯების შემცირება, ანუ მშენებლობის გაიაფება; დამამუშავებელ საწარმოებსა და ცხოველთა სადგომებში, სასათბურე მეურნეობებში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობის ეკონომია.

უარყოფითი ზემოქმედება კი ეგებ ასე გამოვხატოთ: გვალვიან რეგიონებში აორთქლების გაძლიერების ხარჯზე ტენის დეფიციტის გაზრდა და მოსავლის დანაკარგები გვალვის შედეგად; ჭარბტენიან რეგიონებში ნალექების ინტენსიობისა და სიხშირის მომატების შედეგად თქეში, ეროზიული პროცესების გაძლიერება, წყალმოვარდნები, დიდთოვლობა; თბილი ამინდის პირობებში მავნე დაავადებათა პოპულაციების სწრაფი გამრავლება, თბილი ზამთრის პირობებში მათი უკეთესი გამოზამთრება-გამრავლება; ნალექწარმოქმნის პროცესთა გააქტიურების შედეგად სეტყვიანობის გახშირება-გამძაფრება; ნიადაგის ორგანული მასის დაჩქარებული მინერალიზაცია და გამოფიტვა; ტემპერატურული კონტრასტების ფონზე ატმოსფერული წნევის სწრაფი ცვალებადობა, ძლიერი ქარების გახშირება; აორთქლადობისა და აორთქლების ინტენსიობის ზრდასთან ერთად ნიადაგების დამლაშების პროცესების გაძლიერება; ატმოსფეროსა და ნიადაგის დატენიანების შემცირების მიზეზით წაყინვების ინტენსიობისა და სიხშირის მატება, უყინვო პერიოდის კლება.

ზემოთ უკვე ვთქვით გლობალური დათბობით გამოწვეული „საყოველთაო“ ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შესახებ — წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები, ცუნამი, ტყის ხანძრები... ამ უსიამოვნო ნუსხაში წყალდიდობები და ღვარცოფები ვერაგობითა და მოტანილი ზარალით გამოირჩევიან.

**— როგორც მსმენია, წყალდიდობის მოსაგერიებლად ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება წყალსაცავი უნდა გახდეს. ამ კუთხით ჩვენთან არსებულ მდგომარეობაზე რას გვეტყვით...**

— სტიქიური უბედურებები პირდაპირ „გიბრძანებენ“, რომ თითოეულმა ქვეყანამ დახვეწოს სპეციალურად რეგიონისთვის შედგენილი წყალდიდობის კონცეფცია, შემდგომი სრულყოფის საფუძველზე შეიმუშაოს ამ სტიქიის შემარბილებელი სპეციალური პროგრამები, უზრუნველჰყოს იმათი დაფინანსება და განახორციელოს დროული შესრულება.

საერთოდ, წყალდიდობისგან დასაცავად ცნობილია მრავალი საშუალება, რომელთა შორის უპირველესად უნდა ჩაითვალოს ჩამონადენის რეგულირება წყალსაცავებით. ამ მიზნით აშენდა ამდენი წყალსაცავი სხვადასხვა ქვეყანაში — ასეთ ნაგებობებს წყალდიდობის საშიშროების აცილებაც ეკისრებათ რამდენიმე დანიშნულების პარალელურად.

წყალსაცავები საქართველოშიც შეიქმნა, მაგრამ აქ 1980-იანი წლების მიწურულის გამოყოფა მინდა. სწორედ მაშინ შეჩერდა ხუდონის, ლაკბეს, ილტოს წყალსაცავების მშენებლობა, რამაც ჩვენს ქვეყანას, პირდაპირ ვიტყვი, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. თითქოსდა განსწავლული ადამიანები, პოპულარული ლიტერატურის ზეგავლენით, ესოდენ სასიცოცხლო ობიექტების შეჩერებას ყალბი და მავნე ლოზუნგით მოითხოვდნენ: „ვიბრძოლებთ მანამ, სანამ წყალსაცავებში ერთი წვეთი წყალი იქნება“. ნამდვილმა პროფესიონალებმა ბრძოლის ამ ეტაპზე ვერცრა გააწყვეს, ისინი დამარცხდნენ. ყოვლად უსამართლო ბრალდებათაგან წყალსაცავების დახსნის ჩვენმა მცდელობამაც ვერ გამოიღო შედეგი. ამჟამად მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორებულია, მაგრამ უკვე, სამწუხაროდ, გვიანაა. კიდევ ერთხელ გამართლდა გენიალური მოლიერი — ჭკვიანი რეგვენი მტერზე უარესიაო.

მდინარეთა გასწვრივ დამბების მშენებლობაც გავრცელებულ სასარგებლო ღონისძიებად ითვლება. ქრესტომათიული მაგალითია ჩვენი კოლხეთი, ფოთი. დამბების მოწყობამდე რიონი ხომ თითქმის ყოველწლიურად ტბორავდა ქალაქ ფოთის ტერიტორიის დიდ ნაწილს.

სხვათა შორის, რაკი მდინარეები ვახსენეთ, გეტყვით, რომ წყლის რესურსების სამართავად აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მდინარეთა აუზების მიხედვით იქმნება მათი მართვის სამმართველოები. ასეთი მცდელობა ჩვენთანაც იყო 1980-იან წლებში და უთუოდ უნდა განვაახლოთ...

**ბატონ ცოტნეს კიდევ ბევრი აქვს მოსაყოლი ერთ-ერთ საყვარელ საგანზე — როგორც ფიქრის, განსჯისა და კვლევის ობიექტისა, ამ საკაცობრიო ურჩხულის, გლობალური დათბობის შეყვარებაც შეიძლება... აქვს, მაგრამ მხცოვანი სწავლული ისედაც ერთობ დავტვირთე, მისი კეთილგანწყობით ისედაც ზედმეტად ვისარგებლე და ამჯერად მობოდიშებითა და მადლიერებით ვტოვებ...**

**თამაზ ეზანოიძე**

● ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ფორტუნასადმი სასაყვედური არაფერი გვაქვს. ჰოდა, რადგან „სიკვდილის ჯგუფს“ ავცდით, ქართული ფეხბურთის გაცოცხლებაზე ზრუნვა დღეიდანვე დავიწყოთ




◎ ვულოცავთ ბატონ რეზო ყიფიანს

# სევდისა და ღელვის კაცი

**მთელი ცხოვრება მასწავლებლებისა და პროკურორების რიდი მაქვს. გვიან მივხვდი, რომ ისინიც „ჩვეულებრივი“ ადამიანები არიან, თუმცა, რიდი მაინც დარჩა. არადა, ერთი განახათ, რა ანეკდოტების მომყოლი, რა დახვეწილი იმერული იუმორისა და სიტყვა-პასუხის პატრონია საყოველთაოდ ცნობილი იურისტი, საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ამ ცოტა ხნის წინათ ოკრიბელთა დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, ბატონი რეზო (სოსო) ყიფიანი. რეზო – ოფიციალურად სოსო – შინაურობაში...**


რეზო ყიფიანი შვილიშვილებთან. იმრავლონ!

**– ბატონო რეზო, საიდან ეს ორი სახელი?**

– მე მოსკოვის საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, იქვე ვიყავი სტაჟიორად, შემდეგ ჩემს მშობლიურ ქუთაისში ვმუშაობდი პროკურატურის გამომძიებლად. თბილისში რომ გადმოვედი, გრიბოედოვის სახელობის თეატრთან, „დვარცოვზე“ ვცხოვრობდი. ჩემი კარის მეზობელი იყო გამორჩეული პოეტი, თბილისის ტრუბადური და კოლორიტი სოსო გრიშაშვილი. ძალზე კარგი ურთიერთობა გვქონდა, ოღონდ ეგ იყო, ბატონ სოსოს ხშირად უწევდა ეზოში შემოსული ჩემი მეგობრების დაძახილზე – „სოსო!“, „სოსო!“ – ფანჯრის გამოღება და შეხმიანება. დისშვილს – ანის, რომელიც მასთან ცხოვრობდა, უთქვამს, შენ კი არა, ჩვენს მეზობელ ახალგაზრდას – სოსოს ეძახიანო, მაგრამ კარგა ხანს ვერ შეეჩვია ამას და ერთხელ ხუმრობით მითხრა, კაცო, როგორ გირჩევნია ან შენ შეიცვალე სახელი, ან მე შევიცვლიო. აბა, ამ არჩევანის უფლებას თავს როგორ მივცემდი, ისევ მე შევიცვლი-მეთქი, ვუთხარი და თუმცა ჩემი სახელით დიდად ვამაყობდი, მეგობრებს მაინც ვთხოვე, ჩემთან რომ მოხვალთ, რეზო დამიძახეთ-მეთქი. აღმითქვეს, მაგრამ დაპირება არავინ შეასრულა, რადგან, როგორც ჩანს, ყოველი მათგანი ძალზე ბედნიერი იყო, ჩემი სახელის დაძახებაზე, აივანზე სოსო გრიშაშვილი რომ გამოდიოდა ფარფატით და თავისი შეუდარებელი დიქციით კითხულობდა – „მანდ ვინ არის?!“

ვსაუბრობთ ხალისიანად, ამის სტიმულს თვითონ იძლევა ბატონი რეზო, ზოგჯერ სევდასაც გაურევს საუბარში... რამდენი რამ გადაიტანა, ოთხმოცი წელი ხუმრობა საქმე ხომ არ არის... თანაც, მთელი შეგნებული ცხოვრება – პროკურატურის ორგანოებში გატარებული. იგი ყველგან კაცად დარჩა, გვარიშვილობა და ოჯახიშვილობა არ შეურცხვენია. აი, რას ამბობს მის შესახებ საქართველოს დამსახურებული იურისტი **კოკი ნარმანია**: „კაცს, რომელსაც ათეულობით წელი უმოღვაწია პროკურატურის ორგანოებში, ცხადია, ჰყავს განაწყენებულებიც და მტრებიც, მაგრამ რეზოს არასოდეს მოუცლია მათთან კინკლაობისა და ანგარიშსწორებისთვის. როცა მას ვუყურებ, მაგონდება ჩეხოვის სიტყვები: „ადამიანში ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს, სახეც და ტანსაცმელიც, სულიც და აზრიც“.

ახლა საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს **ნუგზარ გაბრიჩიძეს** მოვუსმინოთ. „ზოგიერთი ბიუროკრატი ჩინოვნიკისაგან განსხვავებით, საერთოდ, ტელეფონის ყურმილს რომ არ იღებს, ვიდრე მდივანი არ გამოიკითხავს, ვინ და რისთვის რეკავს, ბატონი რეზოსთვის უცხო იყო დიდკაცური სენი, იგი ჩვეული ყურადღებით უსმენდა და პასუხობდა ყველა სატელეფონო ზარს“.

**ჯანსულ ჩარკვიანმა** კი ასეთი ლექს-პრომტი უძღვნა პარლამენტში ყოფნისას.

**რა კაცია ყიფიანი –**
**გეტყვით,**
**კაცი გახლავთ სევდისა და**
**ღელვის,**
**მტყუან კაცთან იბრძვის**
**სეტყვა სიტყვით,**
**მართალ კაცთან**
**ბულბულივით**
**მღერის.**
**ყიფიანის ეშინიათ სახრის,**
**მისი ხელი მხოლოდ**
**მართალს**
**მოქსოვს,**
**ყიფიანი გახლავთ**
**კაცის სახე,**
**გაუმარჯოს ჩემს ყიფიან**
**სოსოს“.**

ასეთი რამდენი კეთილი სიტყვაა დაუნჯებული მის არქივში... რამდენ ასეთ კეთილ სიტყვას ღლესაც გააგონებენ 80 წლის ღვაწლმოსილ იურისტს.

ჩვენი სიტყვაც მიითვალეთ, ბატონო რეზო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 27 დეკემბერს დღის 14 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის №6-ში (სამტრედიის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ნინოშვილის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

***სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:***

1. ადმინისტრაციული კორპუსი, ორსართულიანი, ნაგები ქვით, ბლოკით და აგურით, საერთო ფართი 12.4X21,3 კვმ. არ აქვს კარ-ფანჯარა, სახურავი ლითონის თუნუქის, შესაკეთებელია, სართულებს შორის გადახურვა ბეტონის ფილებით, შეფასებულია 8500 ლარად.
2. თავშესაფარი, გადახურული ბეტონის ფილებით, 45 კვმ . შეფასებულია 300 ლარად.
3. საბავშვო ბაღის შენობა, ერთსართულიანი, მანსარდით, აგებული წვრილი ბლოკით, ხის იატაკი, ნაწილი აყრილია. შეფასებულია 18000 ლარად.
4. შემორაგვა ლითონის ღობით, 100 გრძ. მეტრი, შეფასებულია 1500 ლარად.
5. ჭიშკარი ლითონის, შეფასებულია 400 ლარად.
6. წიგნების კარადა, შეფასებულია 30 ლარად.
7. მაგიდა, 6 ც. შეფასებულია 40 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 28770 (ოცდარვაათას შვიდასსამოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომლებთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №1.

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

◎ მუნდიალი – 2010

# დურბანის განაჩენი

**მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება – ასეთი გახლავთ ის დავალება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროში ღრმად გათვითცნობიერებულმა ხელისუფლებამ და მისმა ყურმოჭრილმა მონამ – ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს მისცეს. ამ დიადი მიზნის მისაღწევად გერმანელ სპეციალისტს ახლახანს ჩაფლავებით დასრულებული „ევრო-2008“-ის შესარჩევი რაუნდი ეპატია, თუმცა იგივეს განმეორების შემთხვევაში არა გვგონია, თმახუჭუჭა „ტოპის“ ნდობის ვოტუმი კიდევ ერთხელ გაუგრძელონ. სასწორზე ხომ საბიუჯეტო მილიონებია დადებული. ეს ლოგიკურად, თორემ შადრევან როდიონოვისა და მისი თანამოაზრეებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.**

სამხრეთ აფრიკის სტადიონებისკენ მიმავალ ნარეკლიან გზაზე პირველი შეჩერება კვირა საღამოს დურბანში მოხდა, სადაც საკვალიფიკაციო ციკლის კენჭისყრა მოეწყო. პირდაპირ უნდა ითქვას – მართალია, ჯგუფში ფარერების ნაკრებისნაირი „საპენსიო მეტოქე“ ამჯერად აღარ გვყავს, მაგრამ თუ რაიმეს წარმოვადგენთ, ასეთ კამპანიაში საწუკვარ მეორე ადგილს კი უნდა შევწვდეთ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ იტალიასთან შესარჩევ ბატალიებში მეოთხედ მოგვიწევს დუელი, ხოლო ბულგარეთთან და ირლანდიასთან – მეორედ.

დაბოლოს – ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ფორტუნასადმი სასაყვედური არაფერი გვაქვს. ჰოდა, რადგან „სიკვდილის ჯგუფს“ ავცდით, ქართული ფეხბურთის გაცოცხლებაზე ზრუნვა დღეიდანვე დავიწყოთ, თორემ თვალსა და ხელსშუა ჩაივლის მომავალი მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპი და, უკვე მერამდენედ, მორიგი კრახის გამამართლებელი საბუთების ძებნაში გავფლანგავთ ძვირფას დროს.

***ახლა კი გთავაზობთ დურბანის განაჩენის სრულ ვარიანტს (ევროპის ზონა):***

**I ჯგუფი.** პორტუგალია, შვედეთი, უნგრეთი, დანია, ალბანეთი, მალტა.

**II ჯგუფი.** საბერძნეთი, ისრაელი, შვეიცარია, მოლდოვა, ლატვია, ლუქსემბურგი.

**III ჯგუფი.** ჩეხეთი, პოლონეთი, ჩრდ.ირლანდია, სლოვაკეთი, სლოვენია, სან-მარინო.

**IV ჯგუფი.** გერმანია, რუსეთი, ფინეთი, უელსი, აზერბაიჯანი, ლიხტენშტეინი.

**V ჯგუფი.** ესპანეთი, თურქეთი, ბელგია, ბოსნია, სომხეთი, ესტონეთი.

**VI ჯგუფი.** ხორვატეთი, ინგლისი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, ანდორა.

**VII ჯგუფი.** საფრანგეთი, რუმინეთი, სერბეთი, ლიტვა, ავსტრია, ფარერები.

**VIII ჯგუფი.** იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი, საქართველო, ჩერნოგორია.

**IX ჯგუფი.** ჰოლანდია, შოტლანდია, ნორვეგია, მაკედონია, ისლანდია.

◎ მეკობრული შარჟი

**სფფ-ის პრეზიდენტს**

***როცა უსწრებ ცხრილში მხოლოდ***
***იმ კუნძულებს ფარერის –***
***მოიფხანე ცხვირის ბოლო,***
***რაღაც რიგზე არ არის...***

**ილ მელია**

◎ ტყვიის სროლა

# ჩემპიონმა ყველას აჯობა

**ოლიმპიური ჩემპიონის – ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. საასპარეზოდ ცეცხლის ხაზზე 38 სპორტსმენი გამოვიდა.**

ქალებში 381 ქულით ნინო სალუქვაძემ გაიმარჯვა. თასის მფლობელს 6 ქულით ჩამორჩა ქუთაისელი ნინო უჩაძე. 373 ქულით მესამე იყო თბილისელი სოფიკო აროშიძე. ვაჟებში ყველას თბილისელმა ბექა გოგინაშვილმა აჯობა. მან 566 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე ქუთაისელი გია სვანიძე გავიდა (562 ქულა). 558 ქულით მესამე ადგილი თბილისელ დავით ახვლედიანს ხვდა.

ამავე ტირში 20 დეკემბერს თბილისის ღია პირველობა გაიმართება.

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

ერთი საჩოთირო თემა, ნებსით თუ უნებლიედ, მაინც გამორჩათ. ეს გახლავთ, ზოგადად, ჩვენს სპორტში და, კონკრეტულად, ფეხბურთის ფედერაციის 13 მაისის ყრილობაზე, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში განვითარებული სამარცხვინო მოვლენები

◉ ორბიტაზე

## მარია შარაპოვა — მილიონერების სათავეში



**ჩოგბურთელი მარია შარაპოვა მესამედ ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „ფინანს“ მიერ შედგენილი რუსეთელი სპორტის მილიონერების რეიტინგს.**

სიაში მხოლოდ ის სპორტსმენები შევიდნენ, ვისმა შემოსავალმაც 2007 წელს მილიონ დოლარს გადააჭარბა. 20 წლის მარია შარაპოვამ წლეულს უკვე 25 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, თანაც უახლოეს მდევარს — „იუტა ჯაზის“ კალათბურთელს ანდრეი კირილენკოს თითქმის ორჯერ აჯობა (13,7 მლ. დოლარი). უმდიდრეს სპორტსმენთა „შესანიშნავ სამეულს“ აგვირგვინებს ნაციონალური ჰოკეის ლიგის კლუბის „ჩიკაგოს“ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი — 6,8 მლ.

საერთოდ ამ სიაში 37 ჰოკეისტია, ფეხბურთი კი წარმოდგენილია 6 მილიონერით. საიდანაც უმდიდრესია „ზენიტელი“ ანდრეი არშავინი — 3,7 მილიონი დოლარი, მე-16 ადგილზეა. შემდეგ მოდიან არმიელი სერგეი იგნაშევიჩი (36-ე ადგილი, 2 მლ.), ალექსანდრე კორჟაკოვი ესპანური „სევილიიდან“ (37-ე ადგილი, 2 მლ.) და სხვ.

ჩოგბურთელთაგან მილიონზე მეტი მოიხვეჭა კიდევ სამმა — სვეტლანა კუზნეცოვამ (29-ე,2,3 მლ.), ნიკოლაი დავიდენკომ (32-ე, 2,1 მლ.) და ანა ჩაკვეტაძემ (30-ე, 1,4 მლ.).

სპორტსმენების შემოსავალი ფასდება ძირითადად ორი წყაროთი — სპორტით და რეკლამით.

## ტრაგედია ბრაზილიაში

**კვირას ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ქალაქ სალვადორში, „ფონტა ნოვას“ სტადიონზე ადგილობრივი კლუბის „ბაიასა“ და შტატ გოიას გუნდის „ვილ ნოვას“ შეხვედრის შემდეგ, როცა მასპინძლები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ზედა ტრიბუნის ნაწილი ჩა-**



**მოინგრა, ხალხი თითქმის 20 მეტრის სიმაღლიდან ცვიოდა.** როგორც იტყობინებიან, დაიღუპა 7 გულშემატკივარი, დაშავდა 30 კაცი. მატჩს 60 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. თვითმხილველთა განცხადებით, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა უბილეთო ხალხი ტრიბუნებს მიაწყდა.

უკანასკნელად ბრაზილიაში ასეთი ტრაგედია 2000 წლის დეკემბერში მოხდა. მაშინ ჟოაო აველანჟის თასის ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ვასკუ და გამა“ და „სან-კაეტანუ“. რიო-დე-ჟანეიროში სტადიონ „სან-ჟანუარუზე“ ტრიბუნების ჩამონგრევისას 168 კაცი დაიჭრა.

◉ კვირის ეთერი

# ვითომ ამნეზიაა?!

კვირა საღამოს ინგა გრიგოლია „რუსთავი-2“-ს დაუბრუნდა. და მერე როგორ — ინტერვიუ თვით საქართველოს ახლადგადამდგარ პრეზიდენტს ჩამოართვა. ბუნებრივია, ენაწყლიან ორატორთა დიალოგი ფართო სპექტრს მოიცავდა — მათი დიაპაზონი და ინტელექტუალური შესაძლებლობები ხომ განუსაზღვრელია. თუმცა, ერთი საჩოთირო თემა, ნებსით თუ უნებლიედ, მაინც გამორჩათ. ეს გახლავთ, ზოგადად, ჩვენს სპორტში და, კონკრეტულად, ფეხბურთის ფედერაციის 13 მაისის ყრილობაზე, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში განვითარებული სამარცხვინო მოვლენები. და ეს მაშინ, როცა ექსუმაღლესმა ხელისუფალმა ერთ-ერთ ეპიზოდში ჩვეული ზიზღით ახსენა ვიღაც „ჯლანა“. დაგვეთანხმებით, კომენტარი ზედმეტია.

◉ კალათბურთი

## როცა დარბაზში ცივა

**მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სტარტზე გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“ უახლოეს მდევარს — „ვითას“ უმასპინძლა.** სუპერლიგის მე-6 ტურის ცენტრალური შეხვედრის პირველ ნახევარში სტუმრები, რომ იტყვიან, საკუთარ თავს გადააახტნენ და ფავორიტს უჩვეულო როლი არგუნეს — 17:14. ქვემოქართლელებმა მდგომარეობის გამოსწორება მას შემდეგ მოახერხეს, რაც მათი სნაიპერები ლეჟავა და დიდია გააქტიურდნენ, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა კიდევ ერთი გამარჯვების მოსაპოვებლად — 81:62. აღსანიშნავია, რომ ამჯერად ძალიან სუსტად ითამაშა თბილისელთა კაპიტანმა ბეჟანიშვილმა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ბრძოლის ბედი.



ტურის დანარჩენი მატჩები დედაქალაქის სპორტის სასახლის გამოყინულ დარბაზში გაიმართა, სადაც ასეთ კლიმატურ პირობებში, უმჯობესია, ზამთრის სახეობების წარმომადგენლები მიიწვიონ. რაც შეეხება თვით კალათბურთელებს, მათზე სასაყვედურო არაფერი გვაქვს — როგორც „დინამომ“, ისე თსუ-მ სარბიელზე „ცეცხლი დაანთეს“ და უძლიერესი დამატებით დროში გამოავლინეს. საბოლოოდ უბერებელი ვეტერანის ჟღენტის, აგრეთვე გულისაბედაშვილისა და ლაფანაშვილის ძალისხმევით შეხვედრა „თეთრ-ლურჯებმა“ მოიგეს — 95:89. იმავე დღეს „მაკაბიმ“ ასევე დამატებით დროში „ავიამშენს“ სძლია — 94:93.

◉ სუმო

## მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩნენ



**ამას წინათ ტაილანდმა მოყვარულ სუმოისტთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლა. პირველობისთვის 18 ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები იბრძოდნენ. შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა. მართალია, ჩვენი ნაკრების ღირსებას მხოლოდ სამი ათლეტი იცავდა, მაგრამ მათ იაპონელების შემდეგ გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.**

პირად პირველობაში ვერცხლის მედლები მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ზაზა ბალაშვილმა დაიმსახურეს. ნაკრების მესამე წევრი ლაშა გიორგაძე ამჯერად კვარცხლბეკის მიღმა აღმოჩნდა.

## უმაღლესში ადგილი შეინარჩუნა



**კუნძულ კიუსიუზე დამთავრდა სუმოისტთა ნოემბრის ბაშო.** ქართველმა სპორტსმენმა ლევან ცაგურიამ („კოკაი“) ამჯერად შეჯიბრება დადებითი შედეგით დაამთავრა — 9 შეხვედრა მოიგო და 6 პაექრობა დათმო, რითაც უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

იმპერატორის თასი მეხუთედ ჰაკუჰომ დაიმსახურა.

◉ ფეხბურთი

# აქეთური, იქეთური

**XIX ეროვნული ჩემპიონატი. XI ტური.** „ზესტაფონი“ — „ბათუმი“ 4:0, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 1:2, „დილა“ —„სპარტაკი“ :0:0, „სიონი“ — „ბორჯომი“ 0:1, „ოლიმპი“ —„მერანი“ 2: 0, „მესხეთი“ —„ამერი“ 1:2, „მგლები“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:3.



„ზესტაფონი“ — 31, „დინამო“ —30, „ვიტ ჯორჯია“ — 25, „ამერი“, „ბორჯომი“ — 21-21, „ოლიმპი“ — 20, „მესხეთი“ — 17, „მგლები“ — 15, „სიონი“ — 11, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ — 9-9, „მერანი“, „დილა“ — 6-6, „ბათუმი“ — 1 ქულა.

**შემდეგი ტური:** „სპარტაკი“ —„ოლიმპი“, „ამერი“ —„ზესტაფონი“, „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“, „ბორჯომი“ —„მგლები“, „ვიტ ჯორჯია“ — „მესხეთი“ (1 დეკემბერი), „დინამო“— „დილა“, „მერანი“ — „სიონი“ (2 დეკემბერი).

* * *

**იტალია. XIII ტური.** „ინტერი“ — „ატალანტა“ 2:1, „იუვენტუსი“ —„პალერმო“ 5:0, „ჯენოა“ —„რომა“0 :1, „უდინეზე“ —„სიენა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 28, „იუვენტუსი“, „რომა“, „უდინეზე“ — 25-25 ქულა.

**ესპანეთი. XIII ტური.** „მურსია“ — „რეალი“ 1:1, „ვილიარეალი“ — „ალმერია“ 1:1, „ბარსელონა“ —„უელვა“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 29, „ვილიარეალი“ — 28, „ბარსელონა“ — 27 ქულა.

**ინგლისი. XIV ტური.** „არსენალი“ — „უიგანი“ 2:0, „ბოლტონი“ — „მანჩესტერი“ 1:0, „სიტი“ —„რედინგი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“— 33, „მანჩესტერი“ — 30, „სიტი“ —29 ქულა.

**გერმანია. XIV ტური.** „ბაიერნი“ — „ვოლფსბურგი“ 2:1, „კოტბუსი“ — „ვერდერი“0 :2, „ჰამბურგი“ —„ჰანზა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 31, „ვერდერი“, „ჰამბურგი“ — 30-30 ქულა.

**საფრანგეთი. XV ტური.** „რენი“ — „ლიონი“- 0 :2, „ნანსი“ — „ლილი“ 2:0, „კაენი“ —„ბორდო“ — 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 34, „ნანსი“ — 31, „ბორდო“ — 25 ქულა.

**უკრაინა. XVII ტური.** „დნიპრო“ —„ხარკოვი“ 1:0 (გოლი ჯაბა კანკავამ გაიტანა).

**ლიდერთა ჯგუფი:** „შახტარი-“ — 41, „დნიპრო“ — 40, „დინამო“, „მეტალისტი“ — 36-36 ქულა.

◉ კარატე

## თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“



**ზაგრების „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირში, ტრადიციულად, უძლიერესი სპორტსმენები იყრიან თავს.** ამჯერად კიოკუშინკაი კარატეში საპაექროდ 10 ქვეყნის ნაკრების წევრები გამოვიდნენ ტატამზე. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ხაჭაპურიძე, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ედუარდ ჯანოაშვილი (აბსოლუტური წონა).

● უინსტონ ჩერჩილის თუთიყუში დღემდე ცოცხლობს. ახლახან მას 104 წელი შეუსრულდა. მისი საყვარელი საქმიანობაა უცენზურო რეპლიკები ადოლფ ჰიტლერის და ნაცისტების მიმართ



ბუნება და ჩვენ

# დღემოკლენი თუ დღეგრძელნი?

ვინ უფრო დიდხანს ცოცხლობს? ამ კითხვაზე ამერიკელი მეცნიერი ლ. ჰაიფლიკი გვიხსნის, რომ ცხოველთა თითოეული სახეობის უჯრედებს შეუძლიათ განსაზღვრული რაოდენობით გაყოფა. დროთა განმავლობაში ეს გაყოფა სულ უფრო იშვიათად ხდება. ბოლოს და ბოლოს, გროვდება გაცვეთილი უჯრედების დიდი რაოდენობა — მოდის სიბერე, შემდეგ კი — სიკვდილი. ადამიანი საშუალოდ 70 წელი ცოცხლობს, მაინც ვის ეკუთვნის სიცოცხლის ხანმოკლეობისა და ხანგრძლივობის რეკორდი?




## სხვათა შორის:

● საუკუნოვანი ხეების მცირე რაოდენობა გადარჩა დიდ ბრიტანეთში. დაახლოებით ნახევარი მილიონი ხე ძირითადად ეკლესიების ეზოებში, მეფეთა ყოფილ სამონადირეო სავარგულებში და შუა საუკუნეების დროინდელ პარკებშია.

● ცხოველები, ნელა რომ იზრდებიან, ნელა და გვიან ბერდებიან.

● თევზების სიცოცხლის ასაკი განისაზღვრება მათი ქერცლის წლიური რგოლებითა და ლაყუჩებით.

● უინსტონ ჩერჩილის თუთიყუში დღემდე ცოცხლობს. ახლახან მას 104 წელი შეუსრულდა. მისი საყვარელი საქმიანობაა უცენზურო რეპლიკები ადოლფ ჰიტლერის და ნაცისტების მიმართ, ამასთან ერთად ზუსტად ბაძავს ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს.

● ძუძუმწოვრებიდან ცხოვრების ვადა ზუსტად დამოკიდებულია ცხოველების ზომაზე. თუ ვიცით ცხოველის საშუალო წონა, შეიძლება, საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს მისი სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა. საინტერესოა, რომ ერთნაირი წონის შემთხვევაში, უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს ის, ვისაც დიდი ტვინი აქვს.

● ზოგიერთი ცხოველი თვითონ საზღვრავს თავის სიცოცხლეს. მაგალითად, ბაყაყების საყვარელი ბუზი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს — ის ბაყაყის წინ იმდენ ხანს დასეირნობს, ვიდრე არ გადაყლაპავს. მისი მატლები მხოლოდ ბაყაყის ნესტოებში მრავლდება.

Аргументы и факты

№ 232. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!





ხსოვნა

# ვალიკო პოპიაშვილი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ყოფილი სასოფლო მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საზოგადო მოღვაწე ვალიკო პოპიაშვილი.

ბატონი ვალიკო იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა მოწოდება იყო ყოველთვის მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნა, მის მიერ განვლილი გზა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი საკუთარ ხალხს და სამშობლოს.

ბატონი ვალიკო დაიბადა 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მირზაანში მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1946 წელს ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა ბატონმა ვალიკომ დაიწყო ქ. მოსკოვში, სადაც ის განაწილებით მოხვდა №706 გასამხედროებულ ქარხანაში, ხოლო მას შემდეგ, როდესაც საქართველოში ფართოდ გაიშალა მეტალურგიული მრეწველობის გიგანტის მშენებლობა, იგი საკმაოდ კვალიფიცირებული მექანიკოსი ბრუნდება ქ. რუსთავში, სადაც ამ გიგანტური ქარხნის ერთ-ერთ საამქროს უფროსად 17 წელი იმუშავა.

1965 წლიდან 1980 წლამდე ბატონი ვალიკო ქ. რუსთავის ამწე მშენებელი ქარხნის ხელმძღვანელია. ფასდაუდებელია ქ. რუსთავში მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის პერიოდი, სადაც მან უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ქალაქის, საქართველოს ინდუსტრიალური ცენტრად ჩამოყალიბებისა და მისი საზოგადოებრივ-კულტურულ განვითარების საქმეში.

1980 წლიდან იგი საქართველოს ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ და რთულ რგოლს, ამწე მექანიზმების სამმართველოს უფროსია, სადაც მან პენსიაზე გასვლამდე იმოღვაწევა.

დიდია მისი დამსახურება საქართველოში სასოფლო მშენებლობის ობიექტების, გიგანტური კომპლექსების ამოქმედების საქმეში, რომლებიც მისი მოღვაწეობის პერიოდში არნახულ სიმაღლეზე ავიდა. საქართველოში არ აშენებულა სოფლის მეურნეობის არც ერთი დიდი თუ პატარა ობიექტი, სადაც ბატონ ვალიკოს პირადი წვლილი არ ჰქონდეს შეტანილი.

ბატონ ვალიკოს მიღებული ჰქონდა სახელმწიფოს მრავალი ჯილდოები, იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იმსახურებდა ქ. რუსთავის მოსახლეობის ნდობას, რომელთა რჩეულიც გახლდათ ქალაქის თითქმის ყველა მოწვევის აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

წავიდა ჩვენგან დამსახურებული ადამიანი, ულალატო მეგობარი, დიდი ოჯახის მზრუნველი მამა და უსაყვარლესი ბაბუა.

დაე მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა, რომლის სიყვარულს მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია.

სააქციო საზოგადოება „ამწე“;
სააქციო საზოგადოება „სოფმშენი“;
საქართველოს მშენებელთა კავშირი.

ხსოვნა



# გულიკო ჭავჭანიძე

გულიკო სერგოს ასული ჭავჭანიძე დაიბადა 1933 წელს ქ. ხონში. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1953 წლს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. რუსთავში უბნის თერაპევტად.

1965 წლიდან მუშაობას იწყებს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ელექტრონული მიკროსკოპიის განყოფილებაში – უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ გადაყვანილ იქნა ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილებაში ორდინატორად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. იყო მაღალკვალიფიციური ექიმი პარაზიტოლოგი. მის მიერ შესრულებულია სამი სამეცნიერო ნაშრომი პარაზიტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის დარგის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის იგი 2005 წელს დაჯილდოვებულ იქნა ღირსების მედლით.

ჩვენგან წავიდა გულისხმიერი მკურნალი, ახლობლების, მეგობრების და თანამშრომლების მიმართ უსაზღვროდ თბილი ადამიანი, სათნოებით გამორჩეული დედა და ბებია.

კოლეგების და მეგობრების ფართო წრე, ახლობლებთან ერთად, გულისტკივილით ეთხოვება ქალბატონ გულიკოს, მისი ნათელი ხსოვნა მარადჟამს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო
პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ექიმი ორდინატორი

გულიკო ჭავჭანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი აცხადებს

# ღია კონკურსს

## ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია 65 წლამდე ასაკის პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი ტექნიკური განათლება, აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, აქვს მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი (ინსტიტუტის პროფილით), აგრეთვე, ადმინისტრირების გამოცდილება.

დირექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

● განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

● ავტობიოგრაფია;

● განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ასლები;

● ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

● ინსტიტუტის განვითარების ხედვა-პროგრამა.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში 10 სთ-დან 17 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა,

მისამართი: ქ.თბილისი, პეკინის ქ. №34, ოთახი 211.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2007 წლის 12 დეკემბრის 12 საათი.

კონკურსი ჩატარდება 14 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

ტელეფონი: 37-20-66.

ფაქსი: 37-20-66.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო
26/XI-07.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# განკარგულება № 414

2007 წლის 24 ნოემბერი

## სააქციო საზოგადოება „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „სტანდარტბანკში“ ბოლო დღეებში ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის და, შესაბამისად, მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლების თანახმად:**

1. სს „სტანდარტბანკში“ დაინიშნოს დროებითი ადმინისტრაცია 2007 წლის 24 ნოემბრიდან 2008 წლის 24 იანვრის ჩათვლით.

2. სს „სტანდარტბანკში“ დროებით ადმინისტრატორებად დაინიშნონ:

ა) გიორგი ქადაგიძე – დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;

ბ) ირაკლი ზარქუა – საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ბანკების ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;

გ) ირაკლი კუხიანიძე – სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ანალიტური სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

3. დროებითი ადმინისტრაციის ძირითად ამოცანად განისაზღვროს სს „სტანდარტბანკის“ მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების უსაფრთხოებისათვის და ბანკის ლიკვიდურობის მართვისთვის აუცილებელი ზომების გატარება.

4. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მომენტიდან:

ა) შეჩერდეს სს „სტანდარტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) უფლებამოსილება;

ბ) დროებით ადმინისტრატორებზე გადავიდეს სს „სტანდარტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება.

5. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი მოქმედება სს „სტანდარტბანკის“ სახელით და მის ხარჯზე, დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6. ამ განკარგულების ძალაში ყოფნის განმავლობაში დროებითი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოხდეს ბანკის კლიენტთა ანაბრებისა და სხვა სახსრების გაყინვა.

7. დაევალოს დროებით ადმინისტრაციას:

ა) უმოკლეს ვადაში განსაზღვროს დროებითი ადმინისტრაციის განხორციელების პირობები სს „სტანდარტბანკის“ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოებისათვის;

ბ) განსაზღვროს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სს „სტანდარტბანკის“ იმ თანამშრომელთა სია, რომლებისთვისაც მიზანშეწონილია უფლებამოსილების მინიჭება დროებითი ადმინისტრაციის ნორმალური მუშაობისა და მიზნების მისაღწევად.

8. დაევალოთ სს „სტანდარტბანკის“ მართვის ორგანოებს დროებითი ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყონ დროებითი ადმინისტრაციისათვის ყველა ბეჭდის, ბუღალტრული და სხვა დოკუმენტების გადაცემა.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძე) უზრუნველყოს სს „სტანდარტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

10. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (სარაჯიშვილის ქ.№1ა).

**დ. ამაღლობელი,**
**პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი**

# ხალხი „იმედს“ ითხოვს



◉ თბილისი. რიყე. 2007 წლის 25 ნოემბერი



## ეს არის 3500 კაცი?!











რედაქცია კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ◉ ანეკდოტები

– იცი, სადღაც წავიკითხე, რომ სირაქლემა ცუდად ხედავს, მის კუჭს კი თურმე ქვების გადამუშავებაც შეუძლია, – ეუბნება მაშა დაქალს.

– ეჰ, რა შესანიშნავი ქმარი იქნებოდა!

* * *

კოლექტივი ისე შემცირდა, რომ ახლა იქ შეფიც მე ვარ და სულელიც.



* * *

– გამარჯობა, ექიმო. თქვენთან მოვედი გასასინჯად.

– გაიხადეთ! ... გაიხადეთ?

– დიახ.

– ჩაიცვით!

– კი, მაგრამ...

– ყველაფერი კარგადაა. აბსოლუტური ყურთასმენა გაქვთ.

* * *

– ლომი შეიძლება ჩაითვალოს დოპინგად?

– ეს როგორ?

– როგორ და, მაგალითად, ას მეტრზე რბენისას!

* * *

სიცოცხლე – ეს მოკლე მონაკვეთია ორ გრძელ პაუზას შორის.

## ◉ ინფორმაცია

### საპროტესტო აქცია თბილისის საქალაქო სასამართლოსთან

**ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესის დაწყებამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ გუშინ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აქცია გამართეს.**

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კოკა ბაბუნაშვილმა განაცხადა, ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესი მიკერძოებულად და პოლიტიკური ნიშნით მიმდინარეობს.

აქციაზე იმყოფებოდნენ დეპუტატები გიორგი ცაგარეიშვილი და გია თორთლაძე, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის პროცესს აფასებენ, როგორც უკანონოს.

### თუშეთში სამი მცირე ჰესი აშენდება

**თუშეთის სოფლებში ომალოში, დიკლოსა და შენაკლოში მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა 2008 წლიდან დაიწყება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლაიშვილმა განუცხადა.**

ნიკოლაიშვილის განცხადებით, მათი სიმძლავრე 100-200 კილოვატი იქნება. აღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის დაახლოებით 3 მილიონი ლარია საჭირო.

**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.